F-567
1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს
# თეატრალური საზოგადოების
# მოამბე
## (ინფორმაციული მასალები)

# 1

19 თბილისი 57
იანვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინასარგებლობისათვის

ს. თ. ს.

# საქართველოს თეატრალური საზოგადოების
# მ ო ა მ ბ ე

F-2059

19 თბილისი 57

იანვარი

მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპექტაკლის მუსიკალური და სცენური /დეკორაციული/ გაფორმების ზოგიერთი საკითხი

მუსიკალური და დეკორაციული გაფორმების პრობლემებს, როგორც დრამატიული სპექტაკლის ძირითად კომპონენტებს, არ გააჩნიათ თეორიულად დამუშავებული ლიტერატურა. ამიტომ ამ საკითხის გარშემო არსებულ შეხედულებებს სუბიექტური ხასიათი აქვთ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ შეხედულებათა გამოთქმისას პირად გემოვნების სტიქიის ტყვენი ვიყოთ. თეატრმცოდნეობის ყველა პრობლემის დამუშავებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით, რომელიც შემოქმედებით აზრს საჭირო დინებაში მიმართავს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნებას და მაშასადამე სპექტაკლის მუსიკალური და დეკორაციული გაფორმების ფორმისა და ფუნქციისადმი სხვადასხვა მიდგომას. რა პრინციპებიდან გამოვმდინარეობთ ჩვენ? უპირველესად ყოველისა ვადგენთ, რომ სცენაზე იშლება ადამიანის მხატვრული სახის ცხოვრება თავის კონკრეტულ-ისტორიულ და სოციალურ ყოფაში. თეატრის ამოცანათა განსაზღვრისას ბელინსკი მიუთითებდა: თეატრის საგანი არის ადამიანი, რომელიც მუდმივ მოქმედებაში თავისი იდეალისაკენ მიისწრაფის. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ამ იდეალს – სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების შექმნის იდეალი.

სტანისლავსკი ამბობს – რადგან ადამიანი არის თეატრალური ხელოვნების საგანი, მაშასადამე არ შეიძლება მისი გაყალბება. საჭიროა მის შესახებ სიმართლის თქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ადრე რუსული სცენური რეალიზმის მამათავარი შჩეპკინი ადგენს სცენაზე შინაგანი გამართლების კანონს. მაშასადამე, სპექტაკლის ყველა კომპონენტები ექვემდებარებიან სპექტაკლის მთავარ ელემენტს – ადამიანს, მსახიობს – მხატვრულ სახეს.

რეალისტური ხელოვნების ცნებაში სრულიადაც არ შედის რეალური სინამდვილის მექანიკური გადატანა სცენაზე. ცხოვრების სიმართლე და სიმართლე სცენის ერთი და იგივე არ არის. ცხოვრების სინამდვილეს ჩვენ მხატვრულ ფორმასა და მის პირობითობაში ვატარებთ: სცენური დრო, სცენური სივრცე, მსახიობის სცენური გამომხატველობა. ყოველ მათგანს თავისი სავსე ტექნოლოგია გააჩნია, რომლის დარღვევაც სპექტაკლის სახის დამახინჯებას გამოიწვევს. და ბოლოს არ არსებობს რეალიზმი საერთოდ, არამედ არის რეალიზმი ჟანრისა და მისი პირობითობისა. არსებობს მრავალფეროვნება სტილის ფორმათა გამოხატვისა. პუშკინი, გრიბოედოვი, გოგოლი, ჩეხოვი, გორკი – რეალისტები იყვნენ, მაგრამ სტილის ფორმათა გამოხატვის რა მრავალფეროვანება ქონდათ! პირობითი სიმართლე, როგორც რეალისტური ხელოვნების ტექნოლოგიური ხერხი და ესთეტიური პირობითობა, რომელიც იდეალისტური პოზიციებიდან გამომდინარეობს ორი სხვადასხვა რამ არის და ნებით იქნება თუ უნებლიეთ, ერთი ცნების მეორეთი შეცვლა სპექტაკლის შეფასების დროს თეატრის შემოქმედებით განვითარებას უეჭველად ზიანს მიაყენებს. რეალისტურ ხელოვნებაში პირობითი სიმართლე არის საშუალება რეალისტური სცენური სახის განსახიერებისა. მაგალითისათვის ავიღოთ მოსკოვის სამხატვრო თეატრი. თავის წერილში კ.ს. სტანისლავსკისადმი ვლ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსადმი წერს: "თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩეხოვის საშუალებით თეატრმა პირობითობის ჩარჩო გააფართოვა, სამაგიეროდ " კარამაზოვებით" ეს ჩარჩოები საერთოდ დაიმსხვრა".

ეს სპექტაკლი დეკორაციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია პირობითად – ფარდებში. ამის შესახებ ვოლკონსკი წერდა: " მოსკოვის სამხატვრო თეატრი, რომელიც მუდამ იმით სცოდავდა, რომ გარემოს მეტ ყურადღებას აქცევდა ვიდრე მსახიობს, ახლა გვიჩვენებს მსახიობის გამარჯვებას გარემოზე და ამით უდიდესი გამარჯვების მაგალითს გვაძლევს. იმიტომ, რომ თეატრისათვის, ისევე როგორც საერთოდ ადამიანისათვის, უდიდესი გამარჯვება არის გამარჯვება საკუთარ თავზე".

ამგვარივე ამბავი მოხდა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ დადგმულ ლ. ტოლსტოის " ანა კარენინაში". " ანა კარენინაში" თეატრი და მისი მხატვარი,- წერს ბასეხეს ,- უფრო თამამად და გაბედულად არის დაძლეული სამხატვრო თეატრის ძველი სისტემა მოქმედების ჩატევისა მჭიდრო და ჭერით დახურულ, დახუთულ პავილიონებში, რომლებიც -მყარობს თავისი სამი კედლით ესაზღვრებოდნენ. აქ ლურჯი ხავერდის საერთო ფონზე ჩართულია მსხვილი დეტალები – ფანჯრები და კარებები. სცენა მოწყობილია მცირედ, მაგრამ უსათუოდ აუცილებელი საგნებით".

გავიხსენოთ " ჰამლეტის" დადგმა სამხატვრო თეატრში, აგრეთვე ფარდებისა და შუქის საშუალებით გადაწყვეტილი.

მხატვარი ვ. სიმოვი ა. ოსტროვსკის პიესის " ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" თავის გაფორმებაში მაქსიმალურად ზღუდავს გაფორმებას, მეტისმეტად ძუნწად იძლევა მას.-

" ის არაფრით არ აშორებს მაყურებლის ყურადღებას სცენაზე წარმოთქმულ ავტორის სიტყვას: დადგმის ადგილის რაოდენობა ყველა აქცევს სამს არ აღემატება".

ბოლოს " ლისისტრატა" და " კარმენსიტა" ნემიროვიჩ-დანჩენკოს დადგმით. ისინი გადაწყვეტილი არიან კონსტრუქციულ გაფორმებაში, სადაც პ. მარკოვის სიტყვით " შემოქმედებითი სიმართლე იყო საფუძველი მხატვრული სახის ძირითადი მარცვლისა, გამჭოლი მოქმედების გამოყენებისა და მსოფლმხედველობის სიღრმისა".

ამგვარად, სამხატვრო თეატრის სპექტაკლებისა და ვლ.ნემიროვიჩ-დანჩენკოს დადგმათა მაგალითებზე ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ ის ევოლუცია, რომელიც გაიარა რეალიზმმა სპექტაკლის გაფორმებაში დაწყებული მისი ადრეული პრიმიტიული გაგებიდან ვიდრე კონსტრუქტივიზმამდე. ამასთანავე, მოქმედების ადგილი, ეპოქა და ჟანრის სტილისათვის შესაფერისი გადაწყვეტა განსაზღვრული იყო რეალისტური პირობითი სიმართლის მაქსიმალური სიზუსტით.

მაგრამ აქვე და ამავე დროს ნემიროვიჩ-დანჩენკო წერდა:

".. და ამავე დროს მე ვესალმები უმკვეთრეს ნატურალისტურ წვრილმანს, თუ ის აზრის მხრივ მახვილია. გოგოლს " მკვდარ სულებში" ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით უკიდურესად ნატურალისტურ დეტალებს. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს არის პოემა-პოეტური ნაწარმოები. მაგრამ თუ ნატურალისტური წვრილმანი მიზანია, მაშინ ეს არაფრად ვარგა. მე ვამბობ - უკანასკნელ სურათში / " პუშკინის უკანასკნელი დღეები"/ ქოხში მდგარ სამოვრიდან ორთქლი მოდიოდა. ნატურალისტური დეტალია, არა? მე კი მინდა მის იქეთ თვით ცხოვრება ვიგრძნო. სიცივეა. ყინავს... ნატურალისტურია? იყოს ნატურალისტური. მე რომ ვიგრძენი მის იქეთ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, ის, რომ პუშკინი მოყავთ- ნიკოლოზის ჟანდარმერია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება თუ არა, რომ გაფორმების რეალისტური პირობითი სიმარ-თლე " ნატურალისტურ" დეტალსაც შეიცავდეს? – დიახ, შეიძლება. /სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ბუნდო-ვანებაა სცენური ნატურალიზმის, რეალიზმის, რომანტიზმის გზგებაში. ხშირად ჩვენ მექანიკურად ვურევთ მათ ამავე პრობლემების ლიტერატუ-რულ ცნებებში/.

სწორედ ამ პირობით-რეალისტური სიმართლით მუშაობენ ზოგიერთი უცხოელი სცენის ოსტატები, როგორც მაგალითად ჟან ვილარი.–

".. უზარმაზარ სცენაზე არ იდგა დეკორაცია: მთელ მის მოწყო-ბილობებს შეადგენდა მხოლოდ სინათლე, მოქმედების მიმდინარეობისათ-ვის აუცილებელი აქსესუარები და კოსტუმების მკვეთრი ლაქები. დად-გმის სიმძიმის ცენტრი გადატანილია მსახიობებზე. ასე დაიბადა ნა-ციონალური სახალხო თეატრის სტილი. " რუი ბლაზის" დადგმაში დეკო-რაცია თითქმის არ იყო. აქ მათ უწოდებენ კიდევაც სხვაგვარად –"სცე-ნური დიაპოზიტივები". ხანდახან ეს არის ფანჯარა, ხან კოლონაა,ხან კი უბრალოდ ლურჯი ცის ჭრილი შავ ხავერდში. ავეჯი და აქსესუარები მინიმუმამდეა დაყვანილი. ცენაზეა მხოლოდ ყველაზე აუცილებელი – მაგიდა, სკამი, შანდლები... სანახაობითი სიმძიმის ცენტრი გადა-ტანილია კოსტიუმებზე... ისინი შეადგენენ ერთადერთ ფერად ლაქებს შავ ფონზე. ეს თეატრი არის უპირველესად ყოვლისა თეატრი მსახიო-ბისა და როგორც სჩვევიათ ფრანგებს, თეატრი სიტყვისა".

ვნახოთ როგორია მეორე, ინგლისური თეატრი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იყო გასტროლებზე მოსკოვში. მისი მთავარი რეჟისორი პ. ბრუკი წერს " ჰამლეტის" თავის დადგმის შესახებ:.

".. შექსპირის დადგმათა ჩვენი ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვორდონ კრეგისაგან მიმდინარეობს, გულისხმობს ეპიზოდების სწრაფ ცვლას ნეიტრალურ დეკორაციათა ფონზე და აუცილებელი რეკვიზიტის მხოლოდ მინიმუმის გამოყენებით".

ამგვარად, ყველაფერი მსახიობისათვის, არაფერმა არ უნდა დაფაროს იგი. დრამატურგისა და რეჟისორის განკარგულებაში არის ორი-სამი საათი, რომლებშიც უნდა ჩაეტიოს "ადამიანის სულის ცხოვრება". ლაკონიურობა და სისწრაფე. ქრონომეტრაჟი – დაუნდობელია.

რა საგულისხმოა კ.ს. სტანისლავსკის ნათქვამი:

".. ყველა მსახიობი რომ შალიაპინი იყოს მაშინ მაყურებელს არავითარი დეკორაცია არ დასჭირდებოდა".

და აი, საინტერესო დაკვირვება: იქ სადაც თეატრალური ხელოვნების ცენტრში არის მსახიობი – იქ გაფორმების პირობითობა მაქსიმალურია. იქ კი, სადაც მსახიობი უგულებელყოფილია და ცენტრად რეჟისორი იქცევა, იქ რეალისტური პირობითი სიმართლე გადადის ხოლმე "ესთეტურ" პირობითობაში და ჩრდილავს მსახიობს.

იგივეს ვხედავთ ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მსახიობის ხელოვნება დაყვანილია საშუალო ხელოსნობის დონეზე და ამის გამო იბადება მისი დაჩრდილვის აუცილებლობა.

ყოველივე ეს ადვილი შესამჩნევია, როგორც დღევანდელი დღის ფაქტებზე, ისე თეატრის განვითარების ისტორიულ ეტაპებზე, ჩვენშიც და უცხოეთშიც.

".. დამდგმელი და დეკორატორი მხოლოდ მაშინ იქცევა ხოლმე სპექტაკლის მთავარ მოქმედ პირად, როდესაც მასში არ არის მსახიობი" – ეს ფორმულა მეტად მნიშვნელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენიმე სიტყვა "ესთეტური" პირობითობის შესახებ. მისი წარმოშობის ისტორია დეკლამაციური ე.წ. ცრუ-კლასიკური თეატრიდან იწყება. შემდეგ ნაწილობრივ შეცვლილი სახით აღორძინდება ესთეტურ თეატრში, რომლის საწყისიც სინამდვილესთან მსგავსებისაგან არიდება იყო. მისი ფუნქცია კი – მაყურებლის ყურადღების აცილება რეალური სინამდვილისაგან და ფილოსოფიურ მისტიციზმის ჯურღმულებში გადატანა. ესთეტურ პირობითობას რეალური ატმოსფერო უნდა შეექმნა. დღესაც ხშირად არის ხოლმე გამოყენებული მცდარად გაგებულ "რომანტიულ" სპექტაკლებში, სადაც მხატვრული სახისა და გარემო ვითარების მორთვა-მოკაზმვა "მაღალი თემის" აუცილებლობით არის ნაკარნახევი. უნებურად გაგონდება ნემიროვიჩ-დანჩენკოს სიტყვები იმის შესახებ, რომ თეატრალურ ხელოვნებაში დრამატურგთა გენიალურობისა და ნიჭიერების გვერდით "მაინც ყოველი დრამატურგის ნაწარმოებს აქვს ნიშანი იმ თეატრალურობისა, რომელიც დროთა განმავლობაში მოძველდება. ეს ეხება ყველას, ვინც არ უნდა იყოს ის – ესქილე თუ ლოპე დე-ვეგა, შექსპირი თუ შილერი".

მუსიკალური კომპონენტი აგრეთვე დაქვემდებარებულია იმის მიმართ, რაც სპექტაკლის მთავარ ელემენტს შეადგენს – მსახიობის მხატვრული სახის მიმართ.

სპექტაკლში მუსიკალური ჩარევის მიზეზები სხვადასხვა და მრავალგვარია. მაგრამ ძირითადში მუსიკის დანიშნულება სპექტაკლში პიესის ამა თუ იმ ნაკვეთის ემოციური აღქმის გაძლიერებაში მდგომარეობს. გარდა ამისა, მუსიკა აგრეთვე ავსებს და ეხმარება პიესის მოვლენათა ხასიათის გახსნას. ამასთანავე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებსაც ასრულებენ სპექტაკლის ყველა კომპონენტები, მათ შორის მუსიკაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპექტაკლის მთლიანი სახის შექმნაში და მისი იდეის გადაწყვეტაში, სტანისლავსკის გამოთქმით, ისინი იმავე დროს არიან აგრეთვე ცოცხალი სიმართლის გრძნობის გამომწვევნი როგორც მსახიობში, ისე მისი საშუალებით მაყურებელში.

როგორი უნდა იყოს მუსიკა თეატრში?

ამ კითხვაზე პ. ჩაიკოვსკი ასე პასუხობს:

".. როგორც სურათი მოკლებული იქნება ყოველგვარ მშვენიერებას და ვერ მიიღებს სათანადო შეფასებას, თუ მას ესტრადაზე ან გამოფენენ... ისე მუსიკა, ჰარმონიული სიფაქიზით გადატვირთული დაიკარგება თეატრში, სადაც მსმენელს სჭირდება მკვეთრად გამოხატული მელოდია და გამჭვირვალე ჰარმონიული მონახაზი".

მუსიკალური ფორმის მოჩუქურთმება თავისი სირთულით თვითონ იქცევს მაყურებლის ყურადღებას. მუსიკალური მოტივის დახსომების სიადვილე კი დრამატული სპექტაკლის მუსიკის დიდ ღირსებას შეადგენს.

თუ მხატვარი სწყვეტს იმას, რაც თვალსაჩინოა, მუსიკოსი სწყვეტს იმას, რაც გასაგონია და ამავე დროს ერწყმის სცენაზე მომხდარ ამბებს.

მაგრამ თავისი ემოციური ზეგავლენის გამო მუსიკალური კომპონენტი ადვილად შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც "გაჭირვების ტალკვესი" რეჟისორისათვის როდესაც ის ცუდ პიესას დგამს ან დალუპვის პირად მდგარი მსახიობისათვის. ან, როგორც ამბობენ, მუსიკა გამოყენებული არის ხოლმე როგორც " ყავარჯენი" უფეხო პიესისათვის, ან უფეხო რეჟისორისათვის, ან უფეხო მსახიობისათვის.

მუსიკის ალმოყენება ორგანული და გამართლებული უნდა იყოს. გამართლების ხასიათი იცვლება ჟანრისა და დრამატურგიული ხელწერის სტილთან დაკავშირებით. მაგალითად, ხასიათის რეალისტურ პიესაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მუსიკის აღმოცენებასთან დაკავშირებით მაშინვე იბადება კითხვა, რომელზედაც საჭიროა ზედმიწევნით კონკრეტული პასუხი - საიდან და რისთვისაა აქ მუსიკა? - მუსიკის აღმოცენებას ჩვენ ყოფითი ორიგინალობით ვამართლებთ.

სულ სხვა საქმეა, როდესაც მუსიკა ერთვის ისეთ პიესას, რომლის მასალაც არ არის შემოფარგლული ყოფითი რეალურობით, როგორიცაა მაგალითად, ტრაგედიები " რომეო და ჯულიეტა", " ჰამლეტი", "ოტელო", და ა.შ. ჩვენ არ ვკითხულობთ რატომ და რისთვის არის აქ მუსიკა ისევე, როგორც არ ვკითხულობთ რატომ ლაპარაკობენ გმირები ლექსით, რატომ შეიძლება რომ ამ პიესებში ერთდროულად ექვსი კაცი ტრაგიკულად დაიხოცოს - ჩვენ არ ვეძებთ სიუჟეტურ მსგავსებას სინამდვილესთან. ჩვენთვის მთავარია "გრძნობათა სიმართლე მოცემულ ვითარებაში".

ან, ვთქვათ, მუსიკა მელოდრამაში, ბუფონურ კომედიაში, სადაც სიუჟეტს შეიძლება ერწმუნო პირობით, წარმოსახვისა და საკუთარ ფანტაზიის წყალობით შეიძლება დაიჯერო რომ ეს შეიძლება ასე მომხდარიყო. აქ ჩვენ არ გვაინტერესებს " საიდან" გაჩნდა მუსიკა. ჩვენ ვღებულობთ მას როგორც ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას და ამით ვამართლებთ მას. ასეთი სახის პიესებში ემოციური პარტიტურა უმაღლეს გრადუსს აღწევს. ტექსტი ვერ ერევა ამგვარ აღმაფრენას და მაყურებელი ღებულობს ასეთ მუსიკას და ამართლებს მის არსებობას, როგორც აღმოცენებულ მოთხოვნილებას. ასეთ ვითარებაში მუსიკა მაყურებლის ყურადღებას არ აცილებს სცენურ მოქმედებას, არ გადაიქცევა კონცერტად, პირიქით, თავის თავზე კი არ ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, არამედ სცენაზე მიმდინარე ამბავსა და გმირის განცდებზე.

ტყუილად ხომ არ ამბობდა სტანისლავსკი, როდესაც ვოლკონსკისთან ერთად მეტყველებაზე მსჯელობდა, რომ მეტყველების მუსიკალურ გამაში განმსაზღვრელი არის ინტონაციათა შეხამება, რომელიც შინაგან განწყობილებას გამოხატავს და აგებულია სეკუნდებსა, ტერციებსა, ოქტავებსა და ა.შ. სტანისლავსკი აზუსტებს ესა თუ ის ინტერვალი რა განწყობილებას გამოხატავს.

ის კი უეჭველია, რომ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ იმ მუსიკაზე, რომელიც ფსიქოლოგიური მოთხოვნილების მიზეზით იბადება და არა "მოქმედების მსვლელობით" და ამიტომ მისი დაბადების მიზეზი თითქოს არ არის რეალისტურად დასაბუთებული, — მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს პირობით მუსიკასთან, რომელსაც არსებობის თავისი უფლება გააჩნია. უაღრესად საინტერესოდ განსაზღვრავს ჩაიკოვსკი პირობითი მუსიკალური სიმართლის ცნებას. მაგრამ ჯერ გავახსენებთ, რომ თავის თავს ჩაიკოვსკი რეალისტად სთვლიდა ხელოვნებაში. ის წერს:

"...მე მგონია, რომ მე მართლაც გამაჩნია ნიჭი სიმართლით, გულწრფელად და უბრალოდ გამოვხატო მუსიკის საშუალებით ის გრძნობები, განწყობილებანი და სახეები, რომლებსაც ტექსტი მკარნახობს. ამ თვალზრისით მე რეალისტი ვარ.."

პირობითი მუსიკის შესახებ კი ჩაიკოვსკი ასე წერს ფონ-მეკს:

".. რასაკვირველია, უბრალო საღი გონების თვალსაზრისით უაზრობა და სისულელეა სცენაზე მოქმედი პირები, რომლებიც სინამდვილეს უნდა ასახავდნენ, ამღერო და არა ალაპარაკო. მაგრამ როდესაც ვისმენ სექსტეტს "დონჟუანიდან" მე უკვე აღარ ვფიქრობ იმაზე, რომ აქ არის რაღაც ისეთი, რაც არღვევს მხატვრული სიმართლის მოთხოვნილებას. მაკვირვებს და მატყვევებს ის გასაოცარი ხელოვნე- რომლითაც შეძლო მოცარტმა სექსტეტის ექვსი პარტია ყოველი-წვეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სათვის მიენიჭებინა თავისი განსაკუთრებული ხასიათი. მკვეთრი ფირებით გამოყო ერთმანეთისაგან ყოველი მომქმედი პირი. ასე, რომ მავიწყდება სიმართლის არ ყოფნა თვით საქმის არსში. მე აღტაცებული ვარ პირობითი სიმართლის სიღრმით და ეს აღტაცება აიძულებს ჩემს გონებას დაეუმდეს".

თეატრის ისტორიის გამოკვლევებიდან ვხედავთ, რომ პირობითი მუსიკალური სიმართლე რეალისტურ ხელოვნებაში გამართლებულია მაშინ, როდესაც ის სპექტაკლის მხატვრული სახის იდეის გახსნის საშუალებაა, როდესაც მაყურებლის ყურადღება თავის თავზე არ გადმოაქვს, პირიქით, პიესის ამბავს ერწყმის და ხაზს უსვამს მას. ასეთ შემთხვევაში ისინი ტექნოლოგიურ აუცილებლობად იქცევიან და რასაკვირველია, არ განსხვავდებიან ესთეტური პირობითობისაგან, რომელიც მუსიკალურ კომპონენტს დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს. ასე მაგალითად, მუსიკა ტაძარში, ეკლესიაში, რომლის დანიშნულებაა " მოგწყვიტოს" მიწას; როდესაც მუსიკალური კომპონენტი ვითარდება სცენური სახის პარალელურად, იქცევა თვითმიზნად და ერწყმის მას.

და ბოლოს, როდესაც მუსიკას მიზნად აქვს დასახული გაართოს მაყურებელი, სპექტაკლის მორთულობად იქცეს და გადაარჩინოს სცენური სიტუაცია,– ასეთ ესთეტურ პირობითობას არაფერი არა აქვს საერთო რეალისტურად პირობით მუსიკალურ სიმართლესთან.

შეზღუდულ შესაძლებლობათა გამო, შემოვიფარგლებით მხოლოდ ამ რამოდენიმე საკითხით მუსიკალურ და დეკორატიულ კომპონენტების შესახებ სპექტაკლში. და აღარ ვაწარმოებთ ანალიზს მუსიკის დრამატულ სპექტაკლში გამოყენების მრავალფეროვან შემთხვევებისა, რომელთაც წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

## ქუთაისის თეატრის გასტროლები თბილისში

ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრი, რომელიც პირველ სექტემბერს ეწვია საგასტროლოდ თბილისს სერიოზული ამოცანის წინაშე იდგა. თეატრის მთელ კოლექტივს აწუხებდა კითხვა,- როგორ შეხვდებოდა მათ სპექტაკლებს დედაქალაქის მაყურებელი, თეატრალური საზოგადოება, პრესა. მიაღწევდა თუ არა გასტროლები მიზანს.

ქუთაისის თეატრი საგასტროლოდ შვიდი სპექტაკლით ჩამოვიდა. აქედან 5 პიესა ქართველი ავტორისაა, ლ. ქიაჩელის "ტარიელ გოლუა", მ. ჯაფარიძის "ჩვენებურები", ვ. კანდელაკის " მაია წყნეთელი", ლ. თაქთაქიშვილის " გრიშოლელოვი" და ა. ჭავჭანიძე " კეთილი მეზობლები". თუ თვალს გადავავლებთ თეატრის რეპერტუარს დავინახავთ, რომ ზოგიერთი პიესა ნაცნობია თბილისელ მაყურებლისათვის. შვიდ პიესიდან ოთხი რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე უკვე დაიდგა.

ქუთაისის თეატრი ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური რეპერტუარით, უფრო სწორად იგი ყოველთვის ცდილობდა სხვა თეატრებისაგან განსხვავებული რეპერტუარი ჰქონდა, მაგრამ გასტროლებზე რატომღაც ასე არ მოხდა.

ქუთაისის თეატრის სპექტაკლები ერთი მხრივ გვიჩვენებენ, რომ მაღალია თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი შესაძლებლობა, რომ მისგან ბევრს უნდა მოელოდეს მაყურებელი, მაგრამ მეორეს მხრივ კი, ამჟღავნებენ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც აგრეთვე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლების შექმნაში.

საიდუმლო არარის, რომ ქართველი მაყურებელი წარსულშიაც და ახლაც ერთგვარად განებივრებულია შექსპირის ნაწარმოებთა დადგმით და ამიტომ ბუნებრივია მეტი იყო მისი მოთხოვნილება "ოტელოს" ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დადგმისადმი ქუთაისის თეატრის სცენაზე. თვით ფაქტი იმისა, რომ მესხიშვილის თეატრმა სხვადა სცენაზე აემეტყველებინა გენიალური შექსპირის "ოტელო" მისასალმებელია.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის გ. ლორთქიფანიძეს. მისი რეჟისორული ჩანაფიქრი პრინციპში სწორ სცენიურ გადაწყვეტას პოულობს სპექტაკლში. მასში მთელი რიგი სცენა დამუშავებულია ოსტატურად, მაღალ პროფესიულ დონეზე, ბევრი რამ მოფიქრებულია ორიგინალურად /მაგ. მე-2 და მე-5 მოქ. ფინალი/. სპექტაკლს ატყვია რეჟისორის გულმოდგინე მუშაობის კვალი, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ კმარა, დიდი მასშტაბის, მონუმენტური სპექტაკლის შესაქმნელად. სპექტაკლს აკლია მონუმენტალობა. "ოტელო", როგორც დრამატული ნაწარმოების ამაღლებული განწყობილების გადატანა სცენაზე ბევრად არის დამოკიდებული რეჟისორის, მხატვრის, მსახიობის გაგებაზე. სპექტაკლში მთავარ ყურადღებას იქცევს მე-3 და მე-4 მოქ. აქ ყოველი მხატვრული თუ ტექნიკური საშუალება მთლიანია და ერთ მიზნისაკენ წარმართული. სცენაზე შექმნილია მართალი ადამიანური ატმოსფერო, მეგრელიშვილის ოტელო და კოსტავას იაგოც სწორედ ადამიანური ურთიერთობის სიმართლით იქცევს ყურადღებას. მეგრელიშვილის ოტელოში არის ბევრი თბილი, ემოციურად და აზრობრივად დატვირთული ადგილი, მასში არის სიმართლე, რეალიზმი, აქტიორულად სწორად მიკვლეული და გადაწყვეტილი ადგილები, მაგრამ ყოველივე ეს უმეტეს წილად ექცევა დრამატიზმის ფარგლებში და ხშირად ვერ მაღლდება ტრაგედიამდე.

თბილისელი მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა კოსტავას გამოსვლას იაგოს როლში, და აი მაყურებელმა ნახა შურისძიებით ამხედრებული იაგო. ფიცხი ტემპერამენტი, სწრაფი სცენური ორიენტაცია – აი რა ახასიათებს კოსტავას იაგოს. იაგოს სახის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შექმნისას იგი მოქმედების, ორ ხერხს მიმართავს. პირველი– ფსიქოლოგიური ზემოქმედება ოტელოზე, მისი ფსიქიკის წარმართვა ერთი მიზნისაკენ – დაამტკიცოს დეზდემონას მოღალატეობა და მეორე ხაზგასმული ცდა – რაც შეიძლება მეტად დააჯეროს ოტელო, რომ იგი მისი მეგობარია.

კოსტავას იაგოს აქვს სერიოზული ნაკლიც. იგი ხშირად ვარდება დეკლამაციაში, შეინიშნება აქტიორული ხერხების, ჟესტიკულაციის ერთფეროვნება და სხვა.

დეზდემონას როლში გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი ც. ქორქოლაძე, ეს მისი სერიოზული გამოცდა იყო, რომელიც დამთავრდა კარგად, განსაკუთრებით კარგი იყო იგი უკანასკნელ სურათში.

სუსტად გამოჩნდა ნაცვლიშვილი კასიოს როლში. მსახიობმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სცენური მეტყველების საკითხს. სამწუხაროდ ეს მარტო მას არ ეხება, ქუთაისის თეატრში / და არა მარტო ქუთაისის/ მკვეთრად უნდა ამაღლდეს ქართული მეტყველების კულტურა.

ქუთაისის თეატრმა ბევრი დაკარგა იმით, რომ გასტროლები რკინიგზელთა კლუბის სცენაზე ჩატარდა. ცუდმა აკუსტიკამ, სცენაზე დეკორაციების გაუმართაობამ და სხვა ამგვარმა ხელისშემშლელმა პირობებმა თავისი უარყოფითი გავლენა იქონია სპექტაკლების მხატვრულ ხარისხზეც. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა " ლიუბოვ იაროვაიას" წარმოდგენის დროს. რა შეიძლება ითქვას ამ სპექტაკლის შესახებ? ჩვენ არა ერთხელ გვსმენია ამ სპექტაკლის წარმატების შესახებ. მაყურებელს იტაცებდა მძაფრი სცენური სიტუაციები, აზრიანობა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ სპექტაკლად " ლიუბოვ იაროვაია" უჩვენეს, მოლოდინი არ გამართლდა. თბილისელმა მაყურებელმა იგრძნო, რომ ამ სპექტაკლს მართლაც ჰქონია ღირსებანი, მაგრამ ფაქტია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტაკლი თბილისში ცუდად წავიდა. არსებითად იგი დამლილი იყო. თავის დროზე კარგად მონახული რიტმი შესცვალა ფუსფუსმა, ხმაურმა, ემოციებისაგან დაცლილმა ცხოვრებამ. თბილისელ მაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი მ. ჯაფარიძის პიესა "ჩვენებურები". ამ ნაწარმოებმა საზოგადოების აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს ინტერესი თავისთავად ნაწარმოების ღირსებაზე მეტყველებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი თითქოს უნაკლოა. პიესას არა აქვს მიზნად დასახული -გვიჩვენოს სამამულო ომის წლებში ზურგისა და ფრონტის მთლიანობა მისი ცხოვრების ამსახველი სურათები და მაშასადამე არ შეიძლება ამგვარი პრეტენზიის წაყენებაც. დრამატურგმა სხვა გამოხატა ჩვენი ადამიანების კეთილშობილური ბუნება - უნარიანობა ჭირსა და ლხინში ერთიერთის გატანისა-. გაჭირვებამ ჩვარი შემოახვია თორემ გულს ისევ არჩევანი ჰქვიათ- ამბობს ერთ-ერთი გმირი და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ ფრაზაში გამოხატულია პიესის იდეა. როდესაც სცენაზე უყურებთ პიესის მოქმედ პირებს, ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ამხნევებენ, ეფერებიან, არ აკლებენ სითბოსა და ყურადღებას, პირდაპირ გიხარიათ, რომ ქვეყნად ცხოვრობენ ასეთი კარგი ადამიანები.

სერიოზული შემოქმედებითი წარმატებით აღინიშნა შ. ხაჯალიას გამოსვლა გვგელას როლში. ეს არის ჭეშმარიტად დიდის ოსტატობით შექმნილი სახე. მან გვგელას სახეში მონახა მისი სასიცოცხლო ნერვი. იგი, მოქმედი, ოპტიმისტური განწყობილებით სავსე წარმოსდგა ჩვენს წინაშე.

შესრულების მაღალი კლასით აღინიშნა კოსტავას არჩევანი. და მართლაც კოსტავას არჩევანი მხატვრულად სრულქმნილი სახეა. იგი ჩვენ გვხიბლავს თავისი უშუალობით, განცდათა სიწრფელით, რეალიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით. მის პიროვნებაში სჩანს დარბაისელი ქართველი გლეხკაცი. რომელსაც ბევრი წუხილი განუცდია, მაგრამ სულიერად მოუდრეკელი დარჩენილა ბოლომდე. არჩევანის მსგავს ადამიანებში არის დიდი სულიერი ენერგია,- უნარი იმისა, რომ მწირ მიწაზე დაჭიდებული ომსაც კი გაუძლოს.

საერთოდ სპექტაკლი იყო ანსამბლური. "ჩვენებურებმა" უთუოდ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა საგასტროლო რეპერტუარში.

ასე ვერ ვიტყვით დ. თაქთაქიშვილის "გრიბოედოვზე" /დამდგმელი ლორთქიფანიძე, მხატვარი დ. თაყაიშვილი/ იგი ემოციურად სუსტი, კომპოზიციურად დაუმუშავებელი სცენურად გაუმართავი სახით წარსდგა მაყურებლის წინ. ამდ. გურდა ნაცვლიშვილის მიერ შექმნილი გრიბოედოვის სახისა თითქმის არც ერთი გამორჩეული, საინტერესო მხატვრული სახე არ შექმნილა სპექტაკლში. მთავარი ნაკლი სპექტაკლისა ის იყო, რომ ბევრი იყო ლაპარაკი და ნაკლები მოქმედება. იგი არ გვაღელვებდა, არ გვიტაცებდა.

აკ. ჭავჭავაძის ვოდევილში "კეთილი მეზობლები" /დამდგმელი ი. კაკულია, მხატვარი დ. თაყაიშვილი/ შეიქმნა რამდენიმე ცოცხალი, საყურადღებო სცენური სახე. მაყურებელს დიდხანს არ დაავიწყდება ი. ხვიჩიას ლენტორი და შ. ბაჯალიას ამბაკო.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თაყაიშვილის მხატვრობამ. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება აღბეჭდილი იყო პიესის თეორიული თავისებურების ცოცხალი შეგრძნობით, კოლორიტულობით, სახიერებით.

ყოფით პლანში იქნა გადაწყვეტილი ქუთაისის თეატრში ლ. ქიაჩელის "ტარიელ გოლუა", /დამდგმელი გ. ლორთქიფანიძე/. პიესის ამგვარი გახსნა შეიძლება სადაო იყოს, მაგრამ ცხადია, რომ სპექტაკლში დაცული იქნა მხატვრული მთლიანობა. მასიური სცენები დამუშავებული

[library stamp]

მთავარი მოქმედი პირები სპექტაკლში აღმოჩნდნენ ერთ მხატვრულ პრინციპს დამორჩილებულნი. აქ არ იგრძნობოდა სტილისტური აღრევა.

ცნობილია, რომ ვ. კანდელაკის პიესა "მაია წყნეთელი" საქართველოს მრავალ თეატრში დაიდგა. მას სერიოზული წარმატებაც ხვდა. ქუთაისის თეატრში იგი რეჟისორმა თ. ლორთქიფანიძემ დადგა. მაია წყნეთელის როლს ასრულებდა ბ. ჯაფარიძე. მსახიობმა ენერგიულად, აზრიანად გამოხატა თავისი გმირის მჩქეფარე ქმედითი სცენური ცხოვრება.

ქუთაისის თეატრის გასტროლებზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ სარეცენზიო წერილი ამის საშუალებას არ იძლევა; აქვე კი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის თეატრის გასტროლებმა ისეთი სერიოზული წარმატება ვერ ჰპოვა, როგორსაც მოელოდა. თბილისელი მაყურებლისათვის ეს მით უფრო საწყენია, რომ ქუთაისი დიდი თეატრალური ტრადიციის ქალაქია და მისი ნიჭიერი კოლექტივისაგან უფრო მეტს მოელოდა. საერთოდ კი თვით ფაქტი გასტროლების მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება იყო.

f-2059

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ნახევარი სეზონის რეპერტუარი

მიმდინარე 1956–57 წლის სეზონი საქართველოს თეატრებში სრულიად ახალ პირობებში დაიწყო. საქმე ის არის, რომ ამ სეზონამდე თეატრებს სარეპერტუარო გეგმებს კულტურის სამინისტრო უმტკიცებდა და ეს გარემოება გავლენას ახდენდა თეატრების მუშაობაზე. თეატრები თითქოს არ გრძნობდნენ სრულ პასუხისმგებლობას თავიანთი რეპერტუარისათვის. როცა საკითხი დაისმებოდა მათი რეპერტუარის სისუსტეზე, ისინი თავს იმართლებდნენ: თუ სუსტი იყო, რატომ დაგვიმტკიცეთ.

სსრკ კულტურის მინისტრის 1956 წლის 21 აგვისტოს ბრძანებამ თეატრების უფლებები დიდად გააფართოვა: მიმდინარე სეზონიდან დაწყებული თეატრები არა მარტო თვითონ ადგენენ თავიანთ სარეპერტუარო გეგმას, როგორც წინათ, არამედ თვითონვე ამტკიცებენ მას. ასევეა სპექტაკლების მიღების საკითხიც. ახალ სპექტაკლებს იწონებს თეატრის სამხატვრო საბჭო და მათი გაშვებისათვის საჭიროა მხოლოდ თეატრის დირექტორის ბრძანება. კულტურის სამინისტრო და მისი ხელოვნების საქმეთა სამმართველო შემდგომ კონტროლს ახორციელებს.

რა შედეგი მოგვცა ამ ახალმა წესმა 1956–57 წლის სეზონში?

პირველი შედეგები, სამწუხაროდ, არ არის სახარბიელო. უპირველეს ყოვლისა ამან გავლენა იქონია თეატრების გეგმიან მუშაობაზე. ახალი წესი სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თეატრს არ ჰქონდეს წინასწარ გულმოდგინედ შედგენილი და თეატრის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული მთელი ან ნახევარი სეზონის სარეპერტუარო გეგმა. თეატრმა უნდა იცოდეს წინასწარ რა პიესებს დადგამს იგი სეზონის განმავლობაში, რომ ამ გეგმის შესასრულებლად მოემზადოს მისი ყოველი მონაწილე,

რა თქმა უნდა, სეზონის განმავლობაში გამოჩნდება ახალი პიესები, რომლის დადგმა აუცილებელი და საჭირო იქნება, მაგრამ ეს არ უნდა შეადგენდეს წესს, არამედ გამონაკლისს. სინამდვილეში კი ჩვენ აბ-ასეთი მდგომარეობა გვაქვს: თეატრების უმრავლესობას /გარდა თბილისის დიდი თეატრებისა/ მთელი სეზონის სარეპერტუარო გეგმა არ აქვს, თუმცა სეზონის პირველი ნახევარი დამთავრდა. ამ პირველ ნახევარში თეატრების უმრავლესობა პიესებს დგამდა არა დამტკიცებული გეგმის მიხედვით, არამედ პირდაპირ უგეგმოდ. გამოუშვებდა პრემიერას და შეარჩევდა ახალ პიესას /ესე იგი იმას, რაც გეგმაში არ ჰქონდა/. ამ თითქმის უგეგმო მუშაობამ უთუოდ იქონია გავლენა სათეატრო რეპერტუარზე და, ვფიქრობთ, რომ სეზონის დამლევს რეპერტუარის ანალიზი გვიჩვენებს მის სისუსტეს თუ სეზონის მეორე ნახევარში არ გამოსწორდა საქმე.

მაინც რა გვიჩვენეს თეატრებმა სეზონის პირველ ნახევარში?

ოპერისა და ბალეტის თეატრს ამ სეზონში ჯერ ახალი დადგმა არ განუხორციელებია.

რუსთაველის სახ. თეატრმა 15 დეკემბრამდე გვიჩვენა მხოლოდ ორი დადგმა: გ. ბერძენიშვილის "ლერნამი ქარში" და ბ.ნუშიჩის "ფილოსოფიის დოქტორი".

მარჯანიშვილის სახ. თეატრმა გვიჩვენა: კ. ბუაჩიძის "მეკა-ცრი ქალიშვილები", ვაჟა ფშაველას "მოკვეთილი" და დობრიჩანინის "სამი ბულბულის ქ.N17"

გრიბოედოვის სახ. თეატრმა ორი დადგმა გვიჩვენა: როსოვის "სიყვარული სამუდამოდ" და ა. კასონას "ხეები ზეზეულად კვდებიან".

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა — გოლდსმიტის "ერთი ღამის შეცდომები" და პოპოვის "ოჯახი".

მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა — ბ. შოუს "ეშმაკის მოწაფე", ოსტროვსკის "უდანაშაულო დამნაშავენი".

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს ამ სეზონში ახალი არაფერი უჩვენებია.

სომხური დრამის თეატრმა გვიჩვენა ბალზაკის "დედინაცვალი".

სუხუმის თეატრმა ოთხი პრემიერა უჩვენა: ვ. გაბესკირიას "გაზაფხულის დილა", პ. კაკაბაძის "ყვარყვარე თუთაბერი", რომოვის "სალისიანი მეგობრები" / "ჩვენ მშვიდობისა"/ და ს. მთვარაძის "სურამის ციხე".

გორის თეატრმა — მ. ჯავახიშვილის "არსენა მარაბდელი", გ. ერისთავის "გაყრა" და ლ. გოთუას "თუთის პატარძალი".

სტალინირის თეატრმა — ოსური პიესა "ჩერმენი".

? — ფოთის თეატრმა — ე. კარსანიძის "ცხოვრების გზაზე", გ. ბრძენიშვილის "კოჭლი მენისქვილე".

ზუგდიდის თეატრმა— გ. ივანიშვილის "გზები", კუმბრიევის "სამი უბედური" და ი. ჭავჭავაძის "კეთილი მეზობლები".

ჭიათურის თეატრმა — ნარუსის "მოკლული მტრედი" და გ. ბრძენიშვილის "კოჭლი მენისქვილე".

თელავის თეატრმა — გ. ბრძენიშვილის "ლერწამი ქარში".

მახარაძის თეატრმა — სუნდუკიანის "პეპო".

ამ სიას შეიძლება დაემატოს კიდევ რამდენიმე პიესა, მაგრამ სურათს ეს არ შეცვლის, რადგან ძირითადში ეს არის ძველი რეპერტუარის განმეორება.

რა ვნახეთ წელს ახალი?

რუსთაველის თეატრში – ნუშიჩის " ფილოსოფიის დოქტორი". კარგი ვოდევილია და კარგადაც დადგა რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა. თეატრმა შექმნა საინტერესო, მხიარული სანახაობა, რომელსაც მაყურებელი მუდამ ყავს და რომელშიც ბევრ სასარგებლო ჭკუის სას ავლებელ ამბებს ვპოულობთ.

კარგი შეფასება მიიღო აგრეთვე ამავე თეატრში გ. ბერძენიშვილის პიესამ " ლერწამი ქარში".

სეზონის საინტერესო მოვლენაა მარჯანიშვილის თეატრის დადგმა-ვაჟა-ფშაველას " მოკვეთილი". სპექტაკლი რეჟისორულად და აქტიორულადაც ერთობ საინტერესოა. რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ მას შეუძლია ძლიერი შთამბეჭდავი სპექტაკლების შექმნა.

გრიბოედოვის თეატრმა ამ სეზონში მაყურებელს უჩვენა ა. კასონას მშვენიერი პიესა " ხეები ზეზეულად კვდებიან". ეს თეატრის ახალი რეჟისორის ვიპმანის პირველი დადგმაა ამ თეატრში. შეიძლება ითქვას, რომ პიესამ გადაარჩინა სპექტაკლი. ვერც რეჟისორის ტრაქტოვკა და ვერც აქტიორული შესრულება მაყურებელს ვერ დააკმაყოფილებს. სპექტაკლის განსახილველად საჭირო საგანგებო რეცენზიის დაწერა, მაგრამ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მსახიობებმა რუსინოვმა, ბურმისტროვამ, კერჟენცევმა, შევჩუკმა ვერ დაძლიეს როლები, სწორედ ვერ განასახიერეს ავტორის მონაფიქრი. ის დიდი სიწმინდე, კეთილშობილება, მაღალი ადამიანური გრძნობები, რაც პიესაშია მოცემული, სანახევროდაც არ ჩანს სცენაზე. ერთადერთი მსახიობია ზახაროვა / ბებია/, რომელიც გვაგრძნობინებს დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას. ამ პიესით თეატრს შესანიშნავი სპექტაკლი უნდა გაეკეთებინა. მაყურებელი მართალია ყავს ამ სპექტაკლს, მაგრამ ამას თეატრი უპირველეს ყოვლისა ა. კასონას უნდა უმადლოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონის პირველ ნახევარში თავი ისახელა გორის თეატრმა. სეზონი მან დაიწყო მ. ჯავახიშვილის " არსენა მარაბდელით" / გ. ნახუცრიშვილის და ქ. ჯავახიშვილის ინსცენირება/ და ერთხელ კიდევ გვიჩვენა რა შესანიშნავ მასალას წარმოადგენს მ. ჯავახიშვილის " არსენა მარაბდელი" ფართო ხალხური ტილოს შესაქმნელად. როგორც ვიცით, ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრს უნდა დაედგა, მაგრამ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია ამ დიდი საქმისათვის ხელის მოკიდება. გორის თეატრმა კი გაბედა და ასწია კიდეც ეს შესანიშნავი ნაწარმოები. სპექტაკლი არა მარტო გორის, არამედ თბილისის და რუსთავის მაყურებელმა გულთბილად მიიღო. როგორც რეჟისორის თ. ლორთქიფანიძის, ისე აქტიორების მუშაობა მოწონების ღირსია. ამ პიესას თეატრები ძირითადში იმიტომ ვერ დგამენ, რომ არსენას შემსრულებელს ვერ პოულობენ. გორის თეატრმა ისეთი აქტიორიც იპოვა / გ. ნავროზაშვილი/ და მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ამ აქტიორს სცენაზე არ უთამაშნია, მაინც შეძლო არსენას თავისებური სახის გამოკვეთა და მისი ღირსეული შესრულება.

გორის თეატრმა წელს მეორე საინტერესო სპექტაკლიც გვიჩვენა: ეს არის ლ. გოთუას " თუთის პატარძალი". უნდა აღინიშნოს, რომ ამ პიესის რეპეტიციები დაიწყეს სუხუმის და სტალინირის თეატრებმა, მაგრამ შემდეგ შეწყვიტეს მუშაობა, რადგან დაეჭვდნენ, რომ ვერ დასძლევდნენ ამ პიესას და ვერ შექმნიდნენ სპექტაკლს. გორის თეატრი არ დაეჭვდა. სპექტაკლი დადგა დიპლომანტმა ნ. რუსიაშვილმა. თეატრის მთელი კოლექტივი ეხმარებოდა მას. და ის, რაც სხვა თეატრებმა ვერ შესძლეს, გორის თეატრმა შესძლო — მივიღეთ ძალიან საინტერესო სპექტაკლი.

რით არის საინტერესო ლ. გოთუას ახალი პიესა? ისე, როგორც ა. კასონას ზემოთ დასახელებული პიესა, ივი გვიხატავს ჩვენი ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა



უაღრესად კეთილშობილ ცხოვრებას. ეს არის ლირიკული, ხალისიანი კომედია. უკანასკნელ ხანებში მთლად გადაიქცა კომედიებში ნაძირალების, ჩვენი ცხოვრების მიერ გარიყულთა ჩვენება. ლ. ვოთუამ კი ამ კომედიით დაგვიმტკიცა, რომ შეიძლება ძალიან ხალისიან, მხიარულ ვითარებაში ვუჩვენოთ სავსებით დადებითი ტიპები, ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანების კეთილშობილური ხასიათები, მისწრაფებანი და შევქმნათ საინტერესო პიესა, სპექტაკლი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ პიესაში სრულიად არ არის "სტანდარტული" უარყოფითი ტიპები. კაპასი, "ბზიკიანი" დედაკაცებიცა და მამაკაცებიც დიდად კეთილშობილი, მართალი ადამიანებია, თავისსა და ხალხის პატიოსან სახელს უფრთხილდებიან. მარტო იმის ჩვენება ღირს ფასად, თუ როგორ იბრძვიან ახალგაზრდები ამ ორ ოჯახში, უფროსების რა დიდი მორიდება, პატივისცემა და სიყვარული, რა წმინდა და კეთილშობილური, ხალხისათვის საკეთილდღეო, ახალი, ჩვენი დროის დამახასიათებელი სურვილები და მისწრაფებანი ახასიათებთ მათ. ეს კეთილშობილება სპექტაკლში კარგად არის ნაჩვენები. რეჟისორმა და თეატრის მთელმა კოლექტივმა პიესა სწორედ წაიკითხა და სწორედ განასორციელა იგი. რა თქმა უნდა, ამ პიესის დადგმა შეიძლება კიდევ უფრო უკეთ. პიესა მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარშია, მისი დადგმა განზრახული აქვს ქუთაისის თეატრსაც. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული თეატრები, რომელთაც მეტი შესაძლებლობა აქვთ, კიდევ უფრო ღირსეულად განახორციელებენ ამ საინტერესო პიესის დადგმას.

როცა მიმდინარე სეზონის რეპერტუარს ვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო გარემოება. წელს თეატრებმა შესაძლებლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღეს ვაცნობოდნენ უცხოურ პროგრესიულ დრამატურგიას და შეეტანათ მისი საუკეთესო ნაწარმოებები თავიანთ რეპერტუარში. ეს პროცეს მხოლოდ ახალი დაწყებულია და ჩვენი თეატრების რეპერტუარი უთუოდ გამდიდრდება ამ პიესებით. ჩვენ თეატრებს უკვე აქვთ შერჩეული ისეთი საინტერესო პიესები, როგორიც მაგალითად, ა. კასონას " ხეები მიმუდამ კვდებიან" /მარჯანიშვილის, გორის, სუხუმის, ქიათურის, ფოთის, თელავის თეატრები/, რ. თაგორის " კამოლა" /ფოთის/ და ქუთაისის თეატრები/, ა. ვიმერას " მგელი და კაცი" /ბათუმის (დაიღვა/ (და გორის თეატრები/, ა. მილერის "კაცი, რომელსაც ბედი ძალიან წყალობდა" /გორის თეატრი/ ღ. ლობრიჩინინის " სამი ბულბულის ქ.№17" და ბ. ნუშიჩის " ფილოსოფიის დოქტორი"/ორივე დადგმულია/, ხელა ვუოლიიოკის ფინური პიესა " ქვითკირის სახლი" /სუხუმის თეატრი/. თეატრები ეცნობიან მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოელ დრამატურგთა ისეთ პიესებს, როგორიცაა: ა. ქერის " მეექვსე სართული", მ. სუეაჟონის " ერთი ღამის აურზაური", ვ. არიეგის "უმცროსი ძმის ზაფხული", ძმ. ტურის " განშორების შემდეგ", ვინიკოვის " როცა აკაცია ყვავის", ნუშიჩის " მისტერ დოლარი", ლ. ვეპრიცკაიას " მამაჩვენი ცოლს ირთავს" და სხვები.

ჩვენი თეატრების რეპერტუარს ჯერ კიდევ ახასიათებს ერთი ნაკლი. მასში ერთობ სუსტად არის წარმოდგენილი მოძმე რესპუბლიკების კლასიკა და საბჭოთა დრამატურგია. ადგილი აქვს ისეთი პიესების ძებნას, და დადგმას, რომელთა დადგმა შეიძლება პარალელურად /საჭიროა მცირე რაოდენობის მოქმედი პირებიანი პიესა/, რომელთაც თითქოს შეუძლია შემოსავლის მოცემა, თუმცა ხშირად ეს პიესები ერთობ სუსტია

და მათი დადგმით თეატრს ზიანი მოაქვს. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია კუმბრიევის მელოდრამა " სამი უბედური", რომელიც თვითნებურად დადგეს ბათუმის და ქუთაისის თეატრებმა. ჩვენი თეატრი იცნობს სარდუს, ჯაკომეტის და სხვათა მელოდრამებს. ბ. შოუ ხშირად უწოდებს თავის პიესებს მელოდრამას. უდავოა ასეთი მელოდრამის წინააღმდეგი არავინ არის. მაგრამ არსებობს ისეთი მელოდრამატიული პიესები, რომლებიც ამ ჟანრის სრულ გათახსირებას წარმოადგენენ. ასეთია კუმბრიევის " სამი უბედური", რომელშიც არც ეპოქაა ნაჩვენები, არც სახეები და ხასიათები. პიესა აგებულია იმ ანგარიშით, რომ მაყურებელი უთუოდ იტირებს, როცა ხედავს სცენაზე გაუბედურებულ მამას, დედას და მათ შვილს, რომლებიც ერთმანეთს ვერ ცნობენ, როცა ქუჩის მაწანწალა შვილი გაროსკიპებულ დედას საქეიფოთ მოიყვანს რესტორანში მამასთან და არც ერთმა · არ იციან ერთმანეთის ვინაობა, როცა მამა და შვილი თხრის დედის საფლავს და მხოლოდ აქ გაიგებენ ვინ არიან ისინი ერთმანეთისათვის. საკვირველია, რომ ეს ყოვლად უვარგისი პიესა ბათუმის და ქუთაისის რეპერტუარიდან ჯერაც არ არის მოხსნილი.

მაგრამ აქ საქმე მარტო ამ პიესის მოხსნაში როდია. ასეთი პიესის დადგმა ზოგიერთი ჩვენი თეატრის ხელმძღვანელის იდეოლოგიური და მხატვრული დონის, გემოვნების მაჩვენებელია. რეპერტუარის საბოლოო დამტკიცებისა და სპექტაკლის მიღების უფლების თეატრებისათვის მიენიჭება მთავარი რეჟისორების, დირექტორების, სამხატვრო საბჭოებისა და თეატრების მთელი კოლექტივების გამოცდაა. ვინც ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს, ვინც ვერ გამოამჟღავნებს ფაქიზ გემოვნებასა და მაღალ იდეოლოგიურ-მხატვრულ დონეს, ივი საბჭოთა თეატრს ვერ უხელმძღვანელებს. ჩვენ ერთი წუთი

თაყ არ უნდა დავავიწყდეს, რომ საბჭოთა თეატრი არის არა კომერციული დაწესებულება, არამედ მასების კომუნისტურად აღზრდის კერა, რომ თეატრების საფინანსო გეგმები უნდა შესრულდეს კარგი, მაღალმხატვრული პიესების დადგმით, რომ თეატრი უნდა ზრდიდეს მაყურებელს და რომ ჩვენი მუშაობის ერთად ერთი მეთოდია სოციალისტური რეალიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მახარაძის თეატრში

წარმატებით მუშაობს მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრი /დირექტორი ბ. ნაკაიძე, მთავარი რეჟისორი ო. ჟალაკვაძე/. თეატრი სისტემატურად ასრულებს საწარმოო და ფინანსურ გეგმებს.

დიდი და მადლიერი აუდიტორია ჰყავს თეატრის შემოქმედ კოლექტივს. თეატრს მჭიდრო კავშირი აქვს კოლმეურნეობებთან. წვიმიან და თოვლიან დღეებში თეატრის კოლექტივი ღია მანქანით მიემგზავრება კოლმეურნეობებში, რომ მოემსახუროს ტერიტორიულად დაშორებულ რაიონის მაყურებლებს. მიუხედავად სხვადასხვაგვარი ტექნიკური დაბრკოლებებისა, თეატრის სპექტაკლები გამოირჩევა ანსამბლიურობით და საერთო მაღალი მხატვრული დონით.

ამ ბოლო ხანებში მრავალი საინტერესო სპექტაკლი შექმნა თეატრმა: ვ. კანდელაკის " მაია წყნეთელი", ოსტროვსკის " უდანაშაულო დამნაშავენი", სუნდუკიანცის " პეპო". თეატრს მიმდინარე რეპერტუარში შეტანილი აქვს მ. მრევლიშვილის " მვავი", რ. თაბუკაშვილის: " რას იტყვის ხალხი"?", რ. ებრალიძის: "ნანა".

თანამედროვე რეპერტუარიდან ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვენახა რ. ებრალიძის " ნანა.

რ. ებრალიძე პიესა " ნანა"-ში ცდილობს გააშუქოს საკითხი ადამიანის ბედნიერების შესახებ.

პიესის ერთ-ერთი გმირის, ზურაბის აზრით, ადამიანის ბედნიერება ამოიწურება იმით, თუ ადამიანი ცხოვრებაში იპოვის ერთგულ თანამგზავრ მეგობარს. იპოვის თუ არა ადამიანი ასეთ მეგობარს, მისთვის: " ცა, მთები, ცხოვრება და მზე" სულ სხვაგვარ ელფერს იძენენ. ამის გამო საჭიროა ერთული შეცნობა და შესწავლა იმის, ვინც შენი ცხოვრების

ერთგული თანამგზავრი უნდა გაზრდეს, ვინაიდან: " თუ დაკარგე ბედნიერება, – ეს უკვე უბედურებაა". ეს აზრი სრული გამომხატველია ებრალიძის პიესის " ნანა"-ს იდეის.

ავტორის მიერ პიესაში ადამიანის ბედნიერების საკითხი, თითქოს ფართოდაა დასმული, არსებითად კი მეტად ვიწრო ჩარჩოშია მომწყვდეული. ბედნიერებად პიესაში იგულისხმება მტკიცე სიყვარული ორ სქესთა შორის. პირადი და საზოგადო ბედნიერების ურთიერთ დაპირისპირების დროს, ავტორი, საზოგადო ბედნიერებაზე მაღლა პირად ბედნიერებას აყენებს; პირადი ბედნიერება, რომელიც ავტორის აზრით, მხოლოდ ორ სქესთა შორის მტკიცე სიყვარულით ამოიწურება, გამოყვანილია პიესაში, როგორც მთავარი პირობა ადამიანის ბედნიერების. პიესის სიუჟეტის და იდეის მიხედვით ადამიანი უბედურია და საბოლოოდ იღუპება კიდეც, თუ მან სიყვარულში მარცხი განიცადა. ასეთი დაპირისპირება პირადი და საზოგადო ინტერესების, ე.ი. საზოგადო ინტერესების გაზომვა ადამიანის პირადი ინტერესით უცხოა კომუნისტური მსოფლმხედველობისათვის და ასეთი იდეის პროპაგანდა მავნებელია.

ბედნიერების უაღრესად ვიწრო გაგებასთან ერთად, მისი განმარტება პიესაში იმდენად ბუნდოვანია, რომ პიესის გმირები, რომელნიც ამით ხელმძღვანელობენ უშედეგოდ იხარჯებიან პერიპეტიათა ბადეში. და მართლაც როგორ უნდა გავიგოთ არის თუ არა შენი ბედ-იღბალი პირველივე შემთხვევითი შეხვედრილი ადამიანი? ნანა და ზურაბი შეხვდნენ თუ არა შემთხვევით ერთიმეორეს, პირველ შეხვედრისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი. შემდეგში ცხოვრების პირობები მათ დააშორებს, მაგრამ ოდნავ გაღვიძებული გრძნობები, ავტორის ნებით ღვივდება, იზრდება და საბედისწერო ძალად გადაიქცევა, რომელიც საბოლოო განსაზღვრელი შეიქმნება მათი ბედნიერების.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა თქმა უნდა, ადამიანთა ცხოვრებიდან არ არის გამორიცხული შემთხვევები, როდესაც პირველი შემთხვევით აღძრული სიყვარული მკვიდ გრძნობად გადაიქცევა და მთელი სიცოცხლის მანძილზე აკავშირებს ორ მეგობარს, მაგრამ ყოველივე ეს ნაკლებად არის დამოკიდებული იმ " პირველ შეხვედრაზე", რომელსაც ებრალიძე გულისხმობს თავის პიესაში.

ძებნა " ერთადერთის" ყოფაქცევის მოტივების მიხედვით", შესაძლოა, უფრო ხშირად გამომწვევი შეიქნეს უზნეო მოქმედების, ვინემ ისეთი მოქმედების, რომელიც ეთანხმება ჩვენი ყოფით. ნორმებს. საბოლოო კი ძებნა " ერთადერთი" გულისწორის სტიმულს აძლევს ოჯახურ ცხოვრებისადმი პასიურ უსულგულო დამოკიდებულებას. სწორედ ამას ვხედავთ ჩვენ ნანასა და მიხეილის ოჯახში. არც ნანა და არც მიხეილი არ იწუხებენ თავს იმისათვის, რომ გაუგონ ერთიმეორეს, გამონახონ საერთო ენა და წესრიგი დაამყარონ ოჯახში. პირიქით, აგრძელებენ ძებნას ოჯახის გარეშე თავიანთი " ერთადერთი" გულისწორისა. პიესის მიხედვით ბედნიერების მოსაპოვებლად ხდება აუცილებელი ოჯახური ცხოვრების დარღვევა. ეს არის ებრალიძის პიესის " ნანა"-ს ერთ-ერთი სუსტი მხარე. პიესის ბოლომაც მარცხი განიცადა. პიესის გმირმა ნანამ იპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში. იგემა შრომის და სიყვარულის ბედნიერებაც,- იპოვა თავის " ერთადერთი" ზურაბი. თითქო წერტილი უნდა დაესვა ავტორს. პირიქით, მას შემოაქვს პიესაში ახალი,- თავგანწირულების თემა. თითქო იგი თავგანწირულების შეჯიბრს მართავს პიესის ორ გმირ ქალთა,- მზიასა და ნანას შორის. ირკვევა, რომ ზურაბი უყვარს არა მარტო ნანას, არამედ მის გულს, მზიასაც. ნანა გადაწყვეტს დაუთმოს ზურაბი მზიას, ამასთან ერთად ის თმობს საყვარელ სამუშაოს და ბრუნდება შინ, მის მიერ უარყოფილ ქმართან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნანას ეს ორი უკანასკნელი მოქმედება შეუძლებელია გამართლებული იქნეს. ნანას ასეთ საქციელს შეაქვს დისონანსი პიესაში, აკნინებს ნანას სახეს.

შინ დაბრუნებულ ნანას, საყვედურებით აავსებს ქმარი. ნანას აღარ ყოფნის მოთმინება, მას შეიპყრობს სულმოკლეობა და თვითმკვლელობას განიზრახავს. ამავე დროს მზია გადაწყვეტს მურაბი ნანას დაუთმოს. მზიაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ " ერთადერთი" გულისწორის უმისოდ ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია და ისიც გადაწყვეტს თავის მოკვლას, მაგრამ თავგანწირულობის მიზნით ის არწმუნებს ნანას, რომ მას მურაბი არ უყვარს.

საბოლოოდ მზია ხელს იღებს თვითმკვლელობაზე და იმედს აძლევს მაყურებელს, რომ ის ავთანდილთან ერთად შექმნის ახალ ცხოვრებას. ავთანდილს დიდიხანია მზია უყვარს, ხოლო მზიას ავთანდილი არასოდეს არ ყვარებია. როგორი იქნება ამ წყვილის ცხოვრება "ერთადერთ" გულისწორის უმისოდ? ამის შესახებ მაყურებელმა თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნა-საამისო მასალას პიესაში ავტორიც გვაძლევს. პიესის მიხედვით იოლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: მზია ხდება ცოლი იმ ადამიანის, რომელიც მას არ უყვარს, სწორედ ისე, როგორც ნანა გახდა მიხეილის ცოლი. თუ ფეხდაფეხ გავყვებით პიესაში გამოვლინებულ " ერთადერთ" გულისწორ კანონს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მზიას ახალი ცხოვრება იქნება ვანმეორება, ჩვენთვის უკვე ნაცნობი ცხოვრების მიხეილისა და ნანასი.

ასეთი დაბოლოება პიესისა ამტკიცებს ჩვენს დასკვნას იმის შესახებ, რომ " ბედნიერება" ავტორს მეტად ვიწრო გაგებით აქვს ასახული პიესაში. პიესის ლოგიკა გვიკარნახებს: " ერთადერთ" გულისწორის გარეშე, არსებობა არავითარი ბედნიერებაა, ასე გასინჯეთ,

დამოუკიდებელ შრომითაც მიღწეული ბედნიერება არარაობად ხდება "ერთადერთის" უმისოდ. ეს არის ებრალიძის პიესის მეორე, მნიშვნელოვანად სუსტი მხარე.

ცხადია ძნელი განსახორციელებელი ხდება სცენაზე პიესა, რომელსაც ამდენი ხარვეზი აქვს.

მახარაძის თეატრის სცენაზე, ხსენებული პიესა განახორციელა რეჟისორმა ბ. ნაკაიძემ და ო. თალაკვაძემ. უნდა აღინიშნოს, რომ რეჟისორებს სერიოზულად უმუშავნიათ პიესაზე. ნანას როლს ასრულებს მსახიობი ანდღულაძე. მსახიობი სადად და ამასთან ერთად ამაღლევებლად მოქმედობს. მისი ნანა დიდი პოეზიის და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე პიროვნებაა, რომელმაც მთლიანად შესწირა თავი ოჯახს. მიუხედავად ამისა, ნანა მისი შესრულებით მოითხოვს ზოგიერთ განმარტებას. პირველსავე სურათში ნანა-ანდღულაძე აღელვებული და აღშფოთებულია თავისი ბეჩავ მდგომარეობით ოჯახში. გაუგებარი ხდება, თუ როგორ გაძლო ნანამ, ასეთ პირობებში 8 წელი? იმისათვის, რომ ასეთ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი, საჭირო იყო მსახიობის მიერ პირველ სურათებში ნაკლები აღელვება და აღშფოთება თავისი ოჯახური მდგომარეობით. აღელვება უნდა მატულობდეს უკანასკნელ სცენებში, როდესაც მისი აღელვება იწვევს გარკვეულ ნაყოფს, – მის წასვლას სახლიდან. პირველ სცენებში ნანა შორს არის ასეთ საქციელიდან. როდესაც მზია შეეკითხება მას თუ როგორ შეუძლია მან იცხოვროს ასეთ პირობებში, ნანა უპასუხებს: "რადგანაც ვცხოვრობ, მაშასადამე შესაძლებელი ყოფილა"-ო ამ სიტყვებს ამბობს ნანა, რომლის შემეცნების სფერო ჯერ კიდევ მიძინებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხეილ სანაძის როლს ასრულებს მსახიობი ი. არობელიძე. მსახიობმა სწორი გეზი აიღო. მისი გაგებით მიხეილი არ არის ცხოვრებაში ფუჭად დროის გამტარებელი უდარდელი მოქეიფე. მისი შესრულებით მიხეილი არის ისეთი ადამიანი, რომელიც თავის ცოლ ნანაში, მხოლოდ დიასახლისს ხედავს, რომელიც მოვალეა მოემსახუროს მას. სილამაზეს, პოეზიას და სიყვარულს ის ეძებს გარეგნულად შელამაზებულ, ხელოვნად გალამაზებულ ალეანდრაში. შემდეგი ყოფაქცევა მიხეილის მოტივირებული ხდება. ის აღარ აუღებს ალეანდრას, გაცივდება მის მიმართ, საბოლოოდ გამოტყდება იმაში, რომ მას მხოლოდ ნანა უყვარს და მზად არის ბოდიში მოიხადოს მის წინაშე. ამით მტკიცდება, რომ მან თავიდანვე ვერ შეამჩნია მეუღლის მდიდარი სული და ეძებდა ამას იქ, სადაც არ იყო. პიესის დედა აზრით მისი უბედურება იმაშია, რომ მან ხელიდან გაუშვა ბედნიერება. ურიგო არ იქნებოდა, რომ მსახიობი არობელიძე შეარბილებდეს მიხეილის სახეს, ნაკლებ მყვირალად გახდიდეს მას.

მსახიობი ლომინაძე შესანიშნავად ასრულებს ნესტორ ცაგარელის როლს. ის ქმნის ბრმად შეყვარებულ ქმრის ლმობიერ და თბილ სახეს. მისი ნესტორი უმსგავსო ალეანდრასი გამაღმერთებელია, ბუნებრივია, რომ მსახიობი თანაგრძნობის სიცილს იწვევს მაყურებელში, როდესაც ის სიყვარულის გაცრუების გამო იტანჯება.

მსახიობი ბაქრაძე ქმნის ნიკო ლორიას მეტად თავისებურ სახეს. ნიკო- ბაქრაძე არ არის ტრაფარეტული " სტილიაგა" რუსთაველის პროსპექტიდან, მართალია, ის თავის გარეგნობას ყურადღებას აქცევს, მაგრამ ზომიერებას არ კარგავს. გაიზარდა მან შესანიშნავი ქორწილი თავის გვარის იდეალური .დაბოლოებაც მისცა.: " ლორელი". უყვარს და

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფასებს სილამაზეს, თუმცა მას, როგორც მიხეილს, სილამაზეზე მეტად ზერელე, მხოლოდ გარგნული წარმოდგენა აქვს.

პიესის ბოლოში ის შეიმცნებს, რომ ყოველ საქმეში არის რომანტიკა და სილამაზე თუ მას სერიოზულად და სიყვარულით მიუდგები.

მზიას როლს ასრულებს მსახიობი ო. მოლარიშვილი. სპექტაკლის რეჟისორებმა სხვაგვარი ვაგება მისცეს მზიას დამოკიდებულებას ზურაბისადმი. მზია აღფრთოვანებულია ზურაბით, როგორც კარგი სპეციალისტით და კარგი ადამიანით. სრულიად ვანზრახ რეჟისორებმა ხაზი არ გაუსვეს მზიას სიყვარულს ზურაბისადმი. მზია- მოლარიშვილი ატყუებს ნანას იმისათვის, რომ ნანა ოჯახს დაუბრუნდეს, თვითონ კი სიამოვნებით მიყვება ავთანდილს. მოლარიშვილის მიერ შესრულებულ მზიას არ ყოფნის ახალგაზრდული ცეცხლი, არ აქვს ის დიდი შინაგანი სიძლიერე, რომელიც აკლია ნანას და რაც მიიზიდავს მას მზიასაკენ.

ზურაბ შევარდნაძის როლს ასრულებს მსახიობი გ. მდინარაძე. ეს სახე პიესაში ყველა პერსონაჟებზე უფრო სქემატურად არის ასახული. პიესის შინაარსის მიხედვით, ზურაბი უმოქმედო და პასიურია, მის დახასიათებას ჩვენ მხოლოდ სხვების პირით ვისმენთ. უთუოდ ამის შედეგია, რომ გ. მდინარაძის მიერ შესრულებული ზურაბი არ არის სათანადო ხორცშესხმული.

ვულნიფლად და თბილად ასრულებს ავთანდილის როლს მსახიობი ნ. ღლონტი. ამ ბოლო წლებში მახარაძის თეატრის სპექტაკლები მოწმობს ამ თეატრის შემოქმედებითი ზრდას. რაიონული კომიტეტის კარგი ხელმძღვანელობის შედეგად, მახარაძის თეატრი გადაიქცა მშრომელი ახალგაზრდობის აღზრდის ძლიერ ~~———~~ კერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრალური საზოგადოების პლენუმი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მწერალთა კავშირის კლუბში 1956 წლის 8,9 და 10 დეკემბერს მოაწყო საზოგადოების გამგეობის მორიგი პლენუმი, რომელიც მიეძღვნა თეატრალური ხელოვნების აქტუალურ საკითხებს.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა, მან ილაპარაკა პლენუმის ამოცანებზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანში ბევრი მტკივნეული საკითხი წამოიჭრა თეატრსა და დრამატურგიის გარშემო. სპექტაკლების, მხატვრული დონე ერთობ დაეცა. ეს საკითხი აწუხებს თვით მოსკოვსაც, სადაც მიმდინარე წლის გაზაფხულში მოეწყო თეატრის მუშაკთა ფართო თათბირი.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ,- განაცხადა ამხ. დადიანმა,- გადასწყვიტა მოეწვია გამგეობის პლენუმი თეატრების ხელმძღვანელებისა და ხელოვნების მუშაკებთან და მწერლებთან ერთად, გარდა ამისა პლენუმებზე მოწვეული იყო ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები და სხვა დარგის მოღვაწეები.

ჩვენს საზოგადოებას,- ამბობს ამხ. დადიანი,- პირველად უხდება ასეთი საინტერესო თეორიული და პრაქტიკული საკითხების განხილვა. ჩვენ მოურიდებლად უნდა ვამხილოთ ნაკლოვანებები თეატრისა და დრამატურგიის დარგში, ვიკამათოთ წამოჭრილ საკითხებზე და არა ვიჩხუბოთ.

ამ პლენუმზე დრამატურგებმა, რეჟისორებმა და ხელოვნების მუშაკებმა უნდა გვითხრან თუ რით შეიძლება ავამაღლოთ სპექტაკლის მხატვრული დონე და რა უშლის მას ხელს. თუ პლენუმის მუშაობას ამ მიმართულებით წარვმართავთ და გამოვიმუშავებთ ერთ სწორ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზრს, მაშინ ჩვენ ხელს შევუწყობთ ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს.

ამხ. შალვა დადიანის შესავალი სიტყვის შემდეგ პლენუმზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. "თეატრი და დრამატურგია", მომხსენებელი მწერალი როდიონ ქორქია, 2. "ტიპიურობის საკითხი საბჭოთა დრამატურგიაში" – მომხსენებელი ფილოლოგიური მეცნ. კანდიდატი გ. ციციშვილი, 3. "თანამედროვეობის თემა ქართულ თეატრში", მომხსენებელი დოც. ბ. ჟღენტი, 4. "მხატვარი თეატრში" – მომხსენებელი ო. ეგაძე და 5. "მუსიკა თეატრში" – მომხსენებელი პროფ. პ. ხუჭუა. შეეხო რა თავის მოხსენებაში თეატრისა და დრამატურგის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს ამხ. რ. ქორქიამ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანში, თითქოს დაირღვა თეატრისა და დრამატურგის ურთიერთ შემოქმედებითი დამოკიდებულება, რამაც, ცხადია, უარყოფითი გავლენა იქონია თეატრების მხატვრულ დონეზე. მაგალითად, იმის მაგიერ, რომ რეჟისორი დაეხმაროს ავტორს თავისი შემოქმედებითი გამოცდილებით და შენიშვნებით, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ რეჟისორს პიესაში შეაქვს ავტორის დაუკითხავად ისეთი შესწორებები, ეპიზოდები, რომლებიც არ ემთხვევა ავტორის ჩანაფიქრს და ზოგჯერ ნაწარმოების დამახინჯებასაც იწვევს, მაგალითად, შალვა დადიანის – "გუშინდელნი" ავტორის ჩანაფიქრით ნაწარმოები თავდება სევდით. რუსთაველის თეატრმა კი სპექტაკლი დაამთავრა სიხარულით. ს. მთვარაძის "მთაგრეხილში" ერთ-ერთი გმირი ქალი გენერალურ რეპეტიციაზე კვდება, მაგრამ იმავე რუსთაველის თეატრმა პრემიერაზე იგი გამოიყვანა დაჭრილად. ასე მოიქცა სანკულტურის თეატრი რ. ქორქიას პიესა "მეგობრებში", რეჟისორმა უავტოროდ შესცვალა პერსონაჟთა ურთიერთ დამოკიდებულება ე.ი. ნინოს მაგიერ – რაც ავტორს ჰქონდა ალექსის ფაქიზმ შერთო ცოლად და ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ით დაასაბუთა, რომ ფაქიზოს უფრო დიდხანს იცნობდათ. ანთა თ. სვანი- და პ. გრუშინსკის – " შურის მაძიებელნში" მუსკომედიის თეატრში ჟისორმა თოფი გაასროლინა პერსონაჟს და კულისებში მოზვერი დააბღავლა, მინ, როდესაც ეს ავტორს არ ჰქონდა და სხვა.

ამმ. ქორქიამ მოიყვანა მრავალი მაგალითი ჟურნალ " ნოვი მირში" 56 წლის აგვისტოს /VIII/ ნომერში გამოქვეყნებული დრამატურგ ა. არბუზო- ს წერილიდან, რომელშიაც ფართოდ არის გაშუქებული თეატრისა და დრამა- ტურგის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხები. მაღალხარისხოვანი სპექტაკლე- იქმნება მაშინ,– ამბობს მომხსენებელი,– როდესაც რეჟისორი და დრამა- ტურგი შეთანხმებულად მუშაობენ მთელ შემოქმედებითს კოლექტივთან ერთად. ის უტყუარი მაგალითები ბევრი გვაქვს ქართული თეატრის შემოქმედებით აქტიკაში,– კოტე მარჯანიშვილისა და ალექსანდრე ახმეტელის მიერ შექ- ნილი საუკეთესო სპექტაკლები ყოველთვის იქმნებოდა ავტორებთან მჭიდრო თიერთ შემოქმედებითი დამოკიდებულების შედეგად.

ამხ. ქორქიამ მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ ზოგიერთმა თეატ- მა მიღებული და მოწონებული პიესები აღარ დადგეს. გარდა ამისა აგრეთვე ტორებს მიაქვთ თეატრებში პიესები, მაგრამ თვეობით ან წლობით ჭია- ნურდება ავტორებისათვის პასუხის გაცემა პიესების ავ–კარგიანობის შესა- ბ და სხვა.

პლენუმზე ვრცელი მოხსენებით თემაზე: " ტიპიურობის საკითხი ბჭოთა დრამატურგიაში" გამოვიდა ფილოლოგიური მეცნიერების კანდიდატი ამხ. გ. ციციშვილი. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ლიტერატურისა და ხე- ლოვნებაში დღემდე გავრცელებულ ტიპიურობის მცდარ შეხედულებებზე, მის ალმხრივად განსაზღვრაზე, კერძოდ მან ილაპარაკა დრამატურგიაზე. – იპიურობის აქამდე გავრცელებული სქოლასტიკური ფორმულა მწერლებსა და

ხელოვნების მუშაკებს უბიძგებდა არა სინამდვილის ღრმად ამსახველი, ცოცხალი, მხატვრული სურათების შექმნისაკენ, არა მხატვრული აღმოჩენებისაკენ, არამედ სოციალური არსის შიშველი გადმოცემისაკენ, ზოგად დებულებათა ილუსტრირებისაკენ.

შემოქმედის ძირითადი ამოცანა,- დასძენდა მომხსენებელი,- მდგომარეობს ისეთ მკაფიო ცოცხალი, ინდივიდუალური ხასიათების შექმნაში, რომლებშიაც განსახიერდა ადამიანთა გარკვეული სოციალური წრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

ამრიგად,- დაასკვნიდა მომხსენებელი,- დრამატული ნაწარმოები შიშველი რეზონიორების მტერია, როდესაც კარგ აზრებს და მოხდენილ თქმებს არა შესაფერ დროსთან არაშესაფერი პირები წარმოსთქვამენ, ისინი ყალბად ჟღერენ და უბრალოდ იკარგებიან, ვინ ლაპარაკობს, რას ლაპარაკობს, როდის ლაპარაკობს და ვის ელაპარაკება - უმნიშვნელოვანესია დრამის სიმართლისა და ბუნებრიობისათვის, სიმართლისა და ბუნებრიობის გარეშე ტიპიური დრამატურგიული ხასიათი ვერ შეიქმნება. შემდეგ ამხ. გ. ციციშვილმა ქართული დრამატურგების: მიხ. მრევლიშვილის - "ზვავი", მიხ. ჯაფარიძის- "ჩვენებურები", რ. თაბუკაშვილის - " რას იტყვის ხალხი", ი. ვაკელის - " საქმიანი კაცი", ვ. გაბესკირიას - " ახალწლის ღამე", ო. ჩიჯავაძის - " პირველი მერცხლები", გრ. ბერძენიშვილის - " ლერწამი ქარში" და სხვ. საფუძველზე კონკრეტული მაგალითების მოყვანით დამსწრეთ მოუთხრო იმაზე, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ ჩვენი მწერლები, რას უნდა აქცევდნენ მთავარ ყურადღებას მაღალ-მხატვრული ნაწარმოების შექმნისათვის. შემდეგი მოხსენება თემაზე: " თანამედროვეობის თემა ქართულ თეატრში" წაიკითხა ბ. ჟღენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– საბჭოთა ხელოვნება,– ამბობს დოცენტი, ამხ. ქლენტი,– ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური, ყველაზე რევოლუციური ხელოვნებაა მსოფლიოში. დღეს,– განაგრძობდა მომხსენებელი,– ჩვენი ხალხი აღარ კმაყოფილდება თავისი ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ, დრამატურგიის მარტოოდენ იდეური, შინაარსობრივი უპირატესობით. პირიქით, ახლა მთავარი საბრძოლო ამოცანაა ამ უპირატესობას შეესაბამებოდეს ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ასეთივე უპირატესობა მხატვრული დაოსტატების სფეროშიაც. ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, მოუთმენელი ხდება სიყალბე, უფერულობა, შაბლონი, პრიმიტიულობა მხატვრულ შემოქმედებაში, რადგან იგი ზიანს აყენებს ხელოვნების განვითარებას და ხალხის მხატვრულად აღზრდას.

მომხსენებელმა ამხ. ქლენტმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს საგრძნობი შემოქმედებითი გამოცოცხლება დაეტყო ქართულ დრამატურგიას, გაძლიერდა ყურადღება თანამედროვეობის ამსახველი ორიგინალური პიესებისადმი. მაგალითად, მარტო რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრებმა ერთი სეზონის განმავლობაში ქართველი დრამატურგების 8 ახალი პიესა დადგეს, რომლებიც ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თემებზეა დაწერილი. გარდა თემატიკური აქტუალობისა ჩვენი დრამატურგების ახალ ნაწარმოებებში იგრძნობა ეპოქის სინამდვილისათვის დამახასიათებელი კონფლიქტების წინააღმდეგობათა განსახიერება და დრამატული სიუჟეტების მონახვა. ამავე დროს ამხ. ქლენტმა მოიყვანა მაგალითები იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა იდგმებოდეს სუსტი პიესები. ასეთი სუსტი და არაფრის მთქმელი პიესები ზოგჯერ სახელს უტეხავენ ჩვენს წამყვან თეატრებს, რომლებსაც უკვე გარკვეული მაღალმხატვრული მუშაობის ტრადიციები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ბ. ჟღენტის აზრით ჩვენი დრამატურგები ჯერ კიდევ ვერ ჩას- წვდნენ დღევანდელი ჩვენი ცხოვრების შინაგან სამყაროში, მაგრამ,- განაგრძობდა ამხ. ჟღენტი,- ამაში მარტო დრამატურგებს კი არ მიუძღვით ბრალი- არამედ ზოგჯერ თვით თეატრებიც არიან დამნაშავენი, რადგან ისინი ნაკლებ მოთხოვნებს უყენებენ თავიანთ თავს და დრამატურგებსაც.

ჩვენი თეატრები სათუთად უნდა ეპყრობოდნენ დრამატულ ნაწარმოებებს, ისინი ისეთივე შემოქმედებითი შთაგონებითა და აღფრთოვანებით უნდა მუშაობდნენ თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებებზე, როგორითაც ისინი ანსახიერებენ ხოლმე მშობლიურ და კლასიკური მწერლობის შედევრებს. ამხ. ჟღენტმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ, მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალი დეკადის მზადებასთან დაკავშირებით რა უნდა გააკეთონ ქართველმა დრამატურგებმა და თეატრებმა.

პლენუმზე მოხსენებით თემაზე: "მხატვარი თეატრში" გამოვიდა ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნება"-ს რედაქტორი ამხ. ოთ. ეგაძე. ამხ. ეგაძემ ილაპარაკა მხატვრის შემოქმედებითი მუშაობაზე თეატრში სპექტაკლის გაფორმებაზე და აღნიშნა: - მხატვარი არის ისეთი ძლიერი ძალა, ურომლისოდაც არ არსებობს სპექტაკლი,- ამიტომ დასძინა მომხსენებელი,- როდესაც აღვნიშნავთ თეატრალური ხელოვნების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მის მაორგანიზებელ ძალას საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებაში, ჩვენ აღვნიშნავთ არა მარტო იმათ, ვინც სცენური ხერხებით-მხატვრული გარდაქმნის ძალით აამეტყველებს დრამატურგის იდეები - რეჟისორმა, მსახიობმა, კომპოზიტორმა და სხვ. სპექტაკლის შექმნაში ერთ-ერთ კომპონენტს მხატვარი წარმოადგენს, ვისი შემწეობითაც აქტიორის სიტყვები და ემოციები უფრო მკაფიო გამოსაჩენი და დასამახსოვრებელი ხდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ ამხ. ო. ეგაძემ დაწვრილებით განიხილა თბილისის თეატრების სპექტაკლები - "ფვავი", "ჩვენებურები", " საქმიანი კაცი", "ტარიელ გოლუა", "ოიდიპოს მეფე", " მაია წყნეთელი", " ხევისბერი გოჩა" და სხვ. მომხსენებელმა ცხადჰყო, თუ რა დიდი მოვალეობა აკისრია მხატვარს სპექტაკლის შექმნაში.

- მხატვარს,- დაასკვნა ამხ. ო. ეგაძემ,- უნდა ახსოვდეს მთავარი მოვალეობა - სწორედ გადმოსცეს პიესის იდეა, აალაპარაკოს სპექტაკლი არა მარტო ნივთობრივ სივრცობრივი მხატვრობით, არამედ მსახიობის სახისა და ტანის საშუალებითაც - გრიმების, კოსტიუმების და სხვა საშუალებების მომარჯვებით.

დასასრულ პლენუმზე მოხსენებით თემაზე: "მუსიკა თეატრში" გამოვიდა პროფ. ხუჭუა. თავის საინტერესო მოხსენებაში მან ილაპარაკა მუსიკის გამოყენებაზე სპექტაკლში და აღნიშნა,- იმ მხატვრულ ელემენტთა შორის, რომელთა გამოყენება დრამატულ თეატრში ხელს უწყობს სპექტაკლის იდეურ-ემოციური შინაარსის, ჟანრობრივი თვისებების, ფორმის და კონსტრუქციული თავისებურებათა სრულყოფილ გამოვლინებას, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მუსიკას.

- დრამატულ თეატრში,- განაგრძობდა ამხ. ხუჭუა,- მუსიკის ძირითადი დანიშნულებაა - ხელი შეუწყოს სპექტაკლის დამდგმელ-რეჟისორს პიესის შინაარსის, მთავარი სახეებისა და სცენური სიტუაციების უფრო მკაფიოდ, მკვეთრად და შთამბეჭდავად გადმოცემაში. ეს შეიძლება სრულყოფილად განხორციელებული იქნეს მაშინ, როდესაც მუსიკის. ხასიათი, მისი სტილი და გამომსახველობითი ძალა პირდაპირ შეესატყვისება დრამატული პიესის სტილს, მის მიერ ასახულ ეპოქას, დრამატურგიულ ნაწარმოებში მიცემულ ხასიათებს, მათ ტემპერამენტს და სხვ. შემდეგ ამხ. პ.

უჭუამ მოიყვანა მრავალი მაგალითი), თუ როგორ იყენებდნენ მუსიკას ჯერ კიდევ ანტიურ თეატრებში მომდევნო საუკუნეებში და განსაკუთრებით ჩვენს დროს – გამოჩენილი კომპოზიტორების – ჩაიკოვსკის, გლინკას, ფალიაშვილის, არაყიშვილისა და სხვების. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა თანამედროვე კომპოზიტორთა მიერ მუსიკის გამოყენებაზე სპექტაკლში. მან აღნიშნა, რომ თეატრალური ხელოვნების დარგში აღიზარდნენ დღევანდელი ჩვენი მოწინავე კომპოზიტორები– ი. ტუსკია, ალ. მაჭავარიანი, ან. ბალანჩივაძე, არ. კერესელიძე, რ. ლაღიძე, რ. გაბიჩვაძე, ო. ბარამიშვილი, ს. ცინცაძე, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.

ამხ. პ. ხუჭუამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი სპექტაკლები ხშირად გადატვირთულია მუსიკით. მაგ. დაუსრულებელი უვერტიურა ანტრაქტების დროს ე.ი. მუსიკა ფარდის ქვეშ" მოსაბეზრებელი " გართობა" და სხვ. რაც სრულიადაც არ უწყობს ხელს სპექტაკლის გამარჯვებას.

მოხსენებათა გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, მეცნიერებმა და ხელოვნების მუშაკებმა. რეჟ. ს. ჭელიძემ, რომელიც პირველი გამოვიდა კამათში, აღნიშნა, რომ ხშირად თეატრში მოდის სუსტი პიესები. ამიტომ რეჟისორი და თეატრიც ისევე შეიძლება დამარცხდეს და შეცდეს დადგმისას, როგორც შეიძლება რომელიმე დრამატურგმა ვერ დაწეროს კარგი პიესა. სუსტ პიესაზე რეჟისორს, მსახიობსა და მხატვარს უხდებათ თავის მტვრევა. ხოლო როდესაც ამ მუშაობაში დრამატურგი ებმება ამ ერთიერთობის შედეგად ვღებულობთ კარგ წარმოდგენებს. ე.ი. სუსტი პიესიდან ვაკეთებთ კარგ სპექტაკლს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კარგი პიესა გაეფუჭებინოს თეატრს. ასე რომ საჭიროა თეატრისა და დრამატურგის შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თეატრში მოსული პიესა,— განაცხადა კამათში გამოსულმა რეჟ. გრ. სულიაშვილმა,— უნდა იყოს მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები. თეატრის მოვალეობაა ანალიზი გაუკეთოს პიესას და კარგი თეატრალური ხერხებით განახორციელოს სცენაზე. ზოგჯერ კი პირიქით ხდება — როგორი იაფფასიანი პიესებიც მოდის ჩვენს თეატრებში, ასევე იაფფასიანი ხერხებით ვახორციელებთ მათ.

ილაპარაკა რა ზოგიერთ დადგმებზე ამხ. გრ. სულიაშვილმა აღნიშნა, რომ ოთარაანთ ქვრივის განხორციელების დროს თეატრმა ვერ შესძლო ილია ჭავჭავაძის მთლიანად განხორციელება. ასევე ვერც "ტარიელ გოლუა" განასახიერა ისეთი ხერხებით, ისე შესაფერისად, როგორც ამ პიესის შეეფერებოდა.

რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი შეეხო რა გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლს "ხეები წეზეურად კვდებიან"-ის მხატვრულ გაფორმებას აღნიშნა, რომ მხატვრის გაფორმება არ შეეფერება პიესის შინაარსს და მის სტილს და სრულიადაც ვერ გამოხატავს პიესის იდეას. შემდეგ ამხ. ანდრონიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა იქითკენ, რომ სამხატვრო აკადემიაში ფართო ყურადღება დაეთმოს მხატვარ-დეკორატორთა მომზადებას.

— ჩვენი ეპოქა,— განაცხადა დრამატურგმა ს. მთვარაძემ,— თავისთავად თითონ არის ახალი ცხოვრების შემქმნელი, გარდამქმნელი იმისა, რაც დღემდე არსებობდა. თუ ეს ასეა მაშინ ჩვენი ცხოვრება არის გარდამქმნელი გმირი. გმირი კი, თითქმის დაიკარგა სცენაზე, იმიტომ, რომ ჩვენ თითონვე ვცვლით ხასიათებს ე.ი. გატაცებული ვართ წვრილმანებით პიროვნების გარეგნული და ზერელე დახატვით, გმირის გამოსახვა კი უკანა პლანზე გადადის. აქ ლაპარაკი იყო სუსტ ნაწარმოებზე, რეჟისორის უმართებულო შესწორებებზე აქტორის დაუკითხავად და სხვ. მაგრამ მე ვიტყოდი, რომ მთავარი ის არის — თეატრში მიდიოდეს ისეთი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოები, რომ იგი ველარ შეცვალონ. ჩვენ უნდა ავსახოთ ჩვენი ცხოვრება სრულყოფილად. ჩვენ დაუზოგავად უნდა ვამხილოთ ჩვენ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული მანკიერება, თუ გნებავთ ისევე, როგორც ამას ამხილებდა ხოლმე დიდი ილია ჭავჭავაძე.

თეატრი და დრამატურგი,- განაცხადა დრამატურგმა გრ. ბერძენიშვილმა,- ემსახურება ერთ დიდ მიზანს,- ხალხს უთხრას დიდი აზრი სცენიდან. ხელი შეუწყოს ხალხის აღზრდას. დრამატურგია ლიტერატურის განუყრელი ნაწილია და ამიტომ პიესებიც ისევე უნდა იბეჭდებოდეს, როგორც ლიტერატურის სხვა ნაწარმოები. "ხელოვნებამ" ბევრი პიესა გამოსცა, საჭიროა სხვა გამომცემლობებმაც მიბაძონ ამ მაგალითს.

ისაუბრა რა თეატრისა და დრამატურგის ურთიერთობაზე რეჟ. ვ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ყოველ თეატრს თავისი გარკვეული შემოქმედებითი სახე უნდა ჰქონდეს და დგამდეს ისეთ პიესებს, რომლებიც მას შეეფერება. თეატრი უნდა ეძებდეს თავის დრამატურგს, ხოლო დრამატურგი თავის თეატრს. მსახიობები, დრამატურგები და რეჟისორები ერთმანეთის აზრს უნდა იზიარებდნენ და ხალხის მიზანსწრაფვის მიხედვით უნდა მოქმედებდნენ.

შეეხო რა დრამატურგისა და თეატრის ურთიერთ დამოკიდებულებას, დრამატურგმა ვ. პატარაიამ აღნიშნა, რომ პიესის მიღება თეატრის დასში კონკურსით კი არ უნდა სწყდებოდეს, არამედ პიესის ბედს თეატრის ხელმძღვანელობა - რეჟისორთა კოლეგია და სამხატვრო საბჭო უნდა სწყვეტდეს. ამავე დროს პატარაიამ აღნიშნა, რომ როგორც ფილარმონიაში, ისე კონსერვატორიაში რატომღაც გაურბიან ადგილობრივ ავტორებს და ხშირად პროგრამისა და სცენარების დასაწერად სხვაგან ეძებენ, ზოგჯერ შემთხვევით ავტორებს.

დრამატურგმა გ. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მეტისმეტად გართულებულია პიესის მიღების ინსტანციები. : •სანამ პიესა თეატრში მივა საკმაო დრო გადის და ავტორი ზოგჯერ მაშინაც ვერ ღებულობს პასუხს პიესის ავკარგიანობაზე. ზოგჯერ რეჟისორს აძლევენ დასადგმელად ისეთ პიესას, რომელიც მას არ მოსწონს. მსახიობის შემოქმედების და ამა თუ იმ უარყოფითი ტიპის ან მტრის როლის შესრულების დროს გარდასახიერებისა და მსახიობის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც აკად. ვ. აბელიანმა წამოაყენა, ილაპარაკეს მსახიობებმა შ. პირველმა, პროფ. აკ. ფაღავამ და ბ. ქლენცმა. წამოჭრილ საკითხზე არ დაეთანხმნენ გამოსული ამხანაგები ამხ. აბელიანს. განმარტა რა სადისკუსიო საკითხი ამხ. ბ. ქლენცმა დაასკვნა,— არ შეიძლება მსახიობმა წარმოადგინოს დადებითი გმირის სახე თუ იგი გულწრფელი სიყვარულით არ არის გამსჭვალული ამ გმირის სინამდვილისადმი და პირიქით, ასევე არ შეიძლება უარყოფითი ტიპის სახის განხორციელება, თუ მისდამი გულწრფელი სიძულვილით არ არის გამსჭვალული. ილაპარაკეს რა თეატრისა და დრამატურგის ურთიერთ მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ დრამატურგებმა ო. ჩიჯავაძემ და ს. აერიანმა, რეჟისორებმა ე. ნინიძემ, მ. მეძმარიაშვილმა, გრ. ლალიძემ და თეატრმცოდნე ელ. კვირკველიამ, დაეთანხმნენ გამოსულ ორატორებს იმაში, რომ ამ პლენუმზე დაყენებული საკითხების საფუძვლიანი შესწავლა და მისი ცხოვრებაში განხორციელება ხელს შეუწყობს თეატრების შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებას და ქართული ორიგინალური დრამატურგიის შექმნას.

ამხ. პ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ რუსთაველის სახ. თეატრში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ავტორებმა იმუშაონ. გამოყოფილია მუდმივი ოთახი, ამას გარდა გაცემულია საშვები დრამატურგებისათვის სპექტაკლებზე დასასწრებლად და სხვ. შეეხო რა ამხ. კანდელაკი ქართული თეატრისა და დრამატურგიის ამოცანებს, დაასკვნა,- ქართული თეატრი უნდა ამაღლდეს, იგი უნდა იყოს დიდი ეროვნული მოძმაების სულისკვეთების გამომხატველი.

რეჟისორმა მიხ. გიქიმურელმა დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთ შემოქმედებითი დამოკიდებულების მრავალი ფაქტები მოიტანა. განაცხადა მიხ. გიქიმურელმა,- მწერალმა ქალმა სეიფულინამ პირველად წაუკითხა თავისი პიესა " ვირინეა" თეატრს, რომელსაც ცნობილი რეჟისორი ალ. პოპოვი ხელმძღვანელობდა, პიესის წაკითხვის შემდეგ ავტორს მარტო ერთი ადამიანი შემორჩა, ეს იყო რეჟისორი პოპოვი. რაში იყო საქმე? პოპოვს ეყო მოთმინება, რომ დრამატულად სუსტად აგებულ პიესაში მიეგნო არა მარტო ჯანსაღი მარცვლისათვის, არამედ მთელ რიგ ხასიათებისა და შესანიშნავი იდეებისათვის და ამის შემდეგ ეს სპექტაკლი ისტორიაში შევიდა. ასეთი მაგალითები მრავალი იყო კოტე მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის მუშაობაში. აი, სწორედ,- განაცხადა ამხ. მ. გიქიმურელმა ასეთი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს რეჟისორს და დრამატურგს შორის, რათა მათი ჯანსაღი ურთიერთ შემოქმედებითი დამოკიდებულების საფუძველზე იქმნებოდეს მაღალხარისხოვანი სპექტაკლები. თეატრი შეიძლება შეცდეს პიესის შერჩევაში, მაგრამ იგი არ უნდა სცდებოდეს დრამატურგში. ე.ი. როგორც შემოქმედ პიროვნებაში, რომელმაც შეიძლება მარცხი განიცადოს, მაგრამ მომავალში მას წარმატება ექნეს, ამიტომ თეატრი უნდა ეძებდეს არა პიესას, არამედ ცოცხალ თანამოსიარე შემოქმედ ადამიანს- დრამატურგს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ჩვენი კლასიკური დრამატურგია,- განაცხადა სიტყვაში გამოსულმა აკ. ვასაძემ,- მართალია არ დგას რუსთაველის, ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძისა და სხვა გამოჩენილ მწერალთა პოეზიის სიმაღლეზე, მაგრამ მაინც გვევლინება ჩვენი ნაციონალური დრამატურგიის შემქმნელად, ჩვენ ვიცით, რომ ქართული დრამატურგიის გარეშე ქართული ნაციონალური თეატრის არსებობა შეუძლებელია.

მაგრამ საჭიროა ამ მხრივ მეტი ყურადღება, როგორც დრამატურგების, ისე თეატრის სხვა შემოქმედ მუშაკების მიმართ.

თავის სიტყვაში ვერიკო ანჯაფარიძემ ილაპარაკა ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარების შესახებ, და განაცხადა: - როდესაც თეატრზე ვიწყებთ ლაპარაკს, იმდენი საკითხები წამოიჭრება ხოლმე, რომ არ იცი რომელზე გაამახვილო ყურადღება. მაგრამ თუ ჩვენ ალ. სუმბათაშვილის სიტყვებით ვიტყვით, რომ "თეატრი არის არა მარტო სარკე ცხოვრების, არამედ სინდისიერება კაცობრიობისა", მაშინ ცხადი გახდება, რომ ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებისათვის ყველა საკითხი აქტუალური და გადაუდებელია. ქართული თეატრი საერთოდ და კერძოდ, ქართული საბჭოთა თეატრი ასე ადვილად არ შექმნილა. ჩვენ ვიბრძოდით მის შესაქმნელად ჩვენ დიდ ქართველ რეჟისორებთან კ. მარჯანიშვილთან და ახმეტელთან ერთად. ჩვენ გაჩაღებული შემოქმედებითი ბრძოლა გვქონდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს. ქართული თეატრისათვის ბრძოლა, მისი რეპერტუარისათვის ბრძოლა, მისი მაღალხარისხოვანი სპექტაკლებისათვის ბრძოლა მისი მორალური და ზნეობრივი ამაღლებისათვის ბრძოლა, მაყურებელთა მაღალი გემოვნებისათვის ბრძოლა, ქართულ თეატრში დახვეწილი ქართული ენისათვის ბრძოლა, აი ეს არის თეატრისა და დრამატურგის მთავარი ამოცანა. საჭიროა,- დასძინა ვ. ან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯაფარიძემ,– ჩვენი მწერლები სწერდნენ კარგ პიესებს, ხოლო ჩვენი თეატრები აკეთებდნენ კარგ სპექტაკლებს. ცხადია ამაში მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ თეატრის ყველა მუშაკები– დრამატურგთან ერთად რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი და ყველა შემოქმედი თუ ტექნიკური თანამშრომელი. ჩვენ არ უნდა დავშოროთ ერთმანეთი, როდესაც გვექმნება ბრძოლა ქართული თეატრისათვის, როდესაც გული ეტკინება ადამიანს, მაშინ შეიქმნება თეატრი და ხელოვნება.

პლენუმმა დასასრულ თეატრების შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებლად და შემოქმედ მუშაკთა წასახალისებლად დასახა მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის 1957 წელში საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი · აცხადებს კონკურსს საუკეთესო დადგმებზე– სეზონის განმავლობაში, რომლებსაც მიანიჭებს სათანადო პრემიებს. აღნიშნული პრემიები განაწილდება, როგორც დამდგმელ რეჟისორზე, ისე მსახიობზე, მხატვარზე და კომპოზიტორზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქ. თეატრალური საზოგადოების საქმიანობა

## 1956 წლის მე-4 კვარტალში

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ისე, როგორც წინა კვარტალებში განაგრძობდა თავის საქმიანობას წინასწარი დასახული გეგმის მიხედვით. მე-4 კვარტალში ჩატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების გამგეობის მორიგი პლენუმი, რომელიც მიძღვნილი იყო თეატრალური ხელოვნების საკითხებისადმი.

პლენუმი მიმდინარეობდა 8,9 და 10 დეკემბერს, მწერალთა კავშირის კლუბში.

მეორე ღირსშესანიშნავი ღონისძიება საზოგადოებისა იყო გამსვლელი სესია ყვარელში. სესია მიეძღვნა დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას. ს. მთავარაძის შესავალი სიტყვის შემდეგ სესიაზე კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოხსენებები წაიკითხეს ვ. ანჯაფარიძემ, ბ. ჟღენტმა, დ. ჯანელიძემ და პ. კუმელავამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თ. ჭავჭავაძემ, გ. დავითაშვილმა, აკ. კვანტალიანმა, ლ. გომელაურმა.

ამავე პერიოდში საზოგადოებამ მოაწყო რესპ. დამს. არტისტის ნუნუ მაჭავარიანის საღამო თბილისში, ხოლო მსახიობ ალ. კალანდარიშვილის შემოქმედებითი საღამო გორში. ალ. კალანდარიშვილის სასცენო მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა როდიონ ქორქიამ.

საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ ლენინის ორდენის რუსთაველის სახ. თეატრის დირექციასთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა უილიამ შექსპირის უკვდავი ნაწარმოების "ოტელო"-ს მე-300 წარმოდგენა. აღნიშნულ საღამოზე ვრცელი მოხსენებით თემაზე: "ოტელო" რუსთაველის თეატრში" გამოვიდა ბ. ჟღენტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-4 კვარტალში საზოგადოებამ შემოქმედებითი მუშაობაში დახმარე-ის მიზნით მიავლინა ბრიგადები შემდეგი რაიონების თეატრებსა და კულ-ურის სახლებში – მახარაძის სახელმწიფო თეატრში ხელ. დამს. მოღვაწის ეჟ. ს. ჭელიძის, მხატვარ ქორქოლაძისა და თეატრმცოდნე ლ. დოლონაძის ემადგენლობით. აღნიშნულმა ბრიგადამ ნახეს სპექტაკლები- "პეპო", "ყვანაშაული დამნაშავენი", და " ნანა". ბრიგადამ აგრეთვე ესაუბრა ეატრის დასს სპექტაკლებში შემჩნეული შენიშვნებზე. ამავე დროს ბრი-ადის წევრებმა შეამოწმეს და თითო მოხსენება წაიკითხეს მახარაძის არაიონო კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედ წრეებში.

მეორე შემოქმედებითი ბრიგადა, რომელშიაც შედიოდნენ ხელ. დამს-მოღვაწე ნ. გოძიაშვილი, რესპ. დამს. არტ. თ. ბაქრაძე და ლოტბარი დ. კვახელი მივლინებული იქნა საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონში. ბრიგა-ის წევრებმა შეამოწმეს სოფლის კულტურის სახლები და სასოფლო კლუბებთან რსებული თვითმოქმედი წრეები და მათ ჩაუტარეს საუბრები ხელოვნების ვადასხვა საინტერესო საკითხებზე. 30 ოქტომბერს საზოგადოებამ ქუ-აისში ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოაწყო დისპუტი მავე თეატრის მიერ თბილისში საგასტროლოდ ჩამოტანილი სპექტაკლების ესახებ. მოხსენებები წაიკითხეს თეატრმცოდნეებმა ეთ. დავითაიამ და . კიკნაძემ.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მწერალთა კავშირის რამსექციასთან ერთად მოაწყეს დისკუსია თემაზე: " ქართული საბჭოთა რამატურგიის საკითხები". აღნიშნულ თემაზე მოხსენება წაიკითხა ფილო-ოგიური მეც. კანდიდატმა გ. ციციშვილმა. გარდა ამისა საზოგადოების ავალებით საზოგადოების აქტივის წევრებმა თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშაკთა კოლექტივებსა და წარმოება-დაწესებულებებში, თეატრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე და თბილისის თეატრების საუკეთესო დადგმებზე მოხსენებები წაიკითხეს: მიხ. ჭიჟიმყრელმა - რუსთაველის სახ. თეატრის კოლექტივში თემაზე: " ფრანგული ნაციონალური სახალხო თეატრის საგასტროლო სპექტაკლები. / მოსკოვში გასტროლებთან დაკავშირებით/, ნ. შალუტაშვილმა - ვოროშილოვის სახ. კლუბში თემაზე: " რუსული და ქართული თეატრების ურთიერთ დამოკიდებულების ისტორიისათვის", დ. ჯანელიძემ - კულტ. საგანმანათლებლო სასწავლებელში" - რუსული და ქართული თეატრების ურთიერთობის საკითხის ისტორიისათვის", რეჟ. დ. ალექსიძემ, სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართულ კოლექტივში თემაზე: " რეჟისორის მუშაობა სპექტაკლის შექმნაზე", თეატრმცოდნე ლ. დოლონაძემ - ფეხსაცმლის N1 ფაბრიკასა და ლიქიორის ქარხნის მუშათა კოლექტივებში თემაზე: " თანამედროვე ქართული დრამატურგია", ხელ. დამს. მოღვაწე ალ. აზარიანმა - სარეწაო კოოპერაციის კულტსახლის თვითმოქმედ დრამატულ წრეში თემაზე: " გაბრიელ სუნდუკიანის შემოქმედება", თეატრმცოდნე ელ. კვირკველიამ - პურის ქარხანა N1, ფაბრიკა "კომსომოლკაში", უსინათლოთა სასწავლო წარმოებაში, თემაზე: " ქართული თეატრის განვითარების გზები", რ. ქორქიამ - N სამხედრო ნაწილში და თბილისის გარნიზონის ჰოსპიტალში თემაზე: " გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლი ალექსანდრე კასონას " ხეები ზეზეურად კვდებიან" ხელ.დამს. მოღვაწე, რეჟისორმა ლ. ციყაგმა - დიმიტროვის ქარხნისა და N1 ფეხსაცმლის კოლექტივებში თემაზე: გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლი " ხეები ზეზეურად კვდებიან" და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოემბრის პირველ რიცხვებში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით ბათუმისა და სოხუმის თეატრებში რეპერტუარის შესარჩევად და საკონსულტაციოდ საზოგადოებამ მიავლინა ხელ. დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი შ. კილოსანიძე და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების

## დეკადა

წარმატებით ჩატარდა აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. მზიური აჭარის ხელოვნების დეკადამ, რომელშიაც მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, თვითმოქმედი კოლექტივები, მუსიკალური სკოლების მოსწავლეები და ინდივიდუალური შემსრულებლები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებელთა და მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

დეკადის მიმდინარეობის პერიოდში პარალელურად ხდებოდა შეხვედრები — აჭარის მწერლებთან, მხატვრებთან და დეკადის სხვა მონაწილე კოლექტივებთან, სადაც გარდა საზეიმო განწყობილებისა ხელოვნების მუშაკები ერთმანეთს უზიარებდნენ წარმატებას და თავიანთ გამოცდილებას. ამავე დროს სახავდნენ ღონისძიებებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ უფრო მძლავრი აღმავლობისათვის.

22 იანვარს მწერალთა კავშირის კლუბში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივთან. შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის თეატრების მუშაკები, მწერლები და დედაქალაქის საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლები შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახ. არტისტმა შალვა დადიანმა.

— აჭარა, — განაცხადა ამხ. დადიანმა, — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წარმტაცი და ულამაზესი კუთხეა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილ-გამოთიშული იყო დედასამშობლოსაგან. მხოლოდ მე-70 წლებში ოსმალ[illegible]ნ ომის დროს დიდი რუსეთის ლაშქარმა მოიპოვა ბრწყინვალე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამარჯვება და ამის გამო ეს კუთხე მესხეთ-შავშეთთან ერთად დაუბრუნდა დედასამშობლოს, რის გამოც თბილისში მოეწყო დიდი სახეიმო შეკრება, რომელსაც მეთაურობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ყიფიანი და ა/კ მეფის ნაცვლად ნამყოფი გენერალი დიდი პატრიოტი და დიდი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, -ხოლო აჭარა კი წარმოდგენილი იყო გულოლა კაიკაციშვილი და შერიფბეგ ხიმშიაშვილით. ამის შემდეგ ჩაისახა მთელი პროგრამა აჭარის კულტურული აყვავებისათვის- დაარსდა წ.კ. საზოგადოება, გაიხსნა ქართული სკოლები და თეატრი, სადაც დაიწყო ქართული წარმოდგენები. აი აქედან იწყება აჭარის კულტურის აღორძინება. განსაკუთრებით კი წარმატებას მიაღწია ამ კუთხემ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

შემდეგ აჭარის სადეკადო სპექტაკლების: ვ. კანდელაკის - " მაია წყნეთელი", სოფოკლეს - " ოიდიპოს მეფე", პ. ლორიას - "დინარა", ალ. შტეინი - " პერსონალური საქმე" და უილიამ შექსპირის- "ჰამლეტის" გარშემო მოხსენებებით გამოვიდნენ ხელ. დამს. მოღვაწე, პროფ. აკ. ფაღავა და რეჟ. მის. გიჟიმყრელი. აღნიშნული სპექტაკლების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკ. ხორავამ, ო. ანდრონიკაშვილმა, ვრ. ბერძენიშვილმა, გ. ქიქოძემ და სხვ.

შეეხო რა "მეფე ოიდიპოს" განხორციელებას ბათუმის თეატრში აკ. ხორავამ მაღალი შეფასება მისცა ოიდიპოს შემსრულებელს საქ. სსრ. სახ. არტისტს ი. კობალაძის ნამუშევარს.

- ი. კობალაძეს,- განაცხადა აკ. ხორავამ,- მაღალი აქტიორული ოსტატობით აქვს შესრულებული ოიდიპოს სახე. კობალაძემ გვიჩვენა მთელი რიგი ახალი ნიუანსები. მომხსენებლებმა ილაპარაკეს აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წარმატებებზე ამავე დროს მხატვრული შესრულების თვალსაზრისით ზოგიერთ ნაკლოვანებებზე. მე სიამოვნებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამოვიყენებ ამ პერსებს და თამამად ვიტყვი, რომ იგი ეკუთვნის ი. კობალაძეს შემოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, დაასკვნიდა აკ. ხორავა, რომ ჩვენი ხელოვნება ერთ წერტილზე კი არ იყინება, არამედ ახლებურად სწყვეტენ ავტორული შემოქმედებით ამა თუ იმ რთულ ამოცანებს.

– მარტო ის ფაქტი, განაცხადა თავის სიტყვაში გ. ქიქოძემ,– რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც არის საქართველო ჰყავს ოიდიპოს 4 და 5 შემსრულებელი, მაშინ, როდესაც თვით საბერძნეთშიაც იშვიათი მოვლენაა ეს, ლაპარაკობს ქართული კულტურის სიდიადეზე, ქართული თეატრალური ხელოვნების დიდ ტრადიციებზე, მის დიდ პოტენციურ შესაძლებლობაზე.

შეხვედრაზე გულთბილი საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ რესპ. სახ. არტისტები მ. ხინიკაძე და ი. კობალაძე ხელ. დამს. მოღვაწე ერ. ლალიძე და საქ. კ.პ. აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. დავითაძე.

აჭარა, ამბობს ამხ. დავითაძე 300 წლის განმავლობაში განიცდიდა უცხოელ დამპყრობთა მიერ ჩაგვრას და უუფლებობას. იდევნებოდა ქართული ენა, სარწმუნოება და კულტურა. აჭარა 80 წლის წინათ დაუბრუნდა საქართველოს. რუსი ხალხის შემწეობით, ხოლო მისი ნამდვილი განთავისუფლება, ქართული ენისა და კულტურის აღორძინება მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. თუ რა წარმატებებს მიაღწია აჭარამ ეს ნათლად ჩანს აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დღევანდელ დეკადაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დასასრულ ეტაპის მონაწილეთა დამსწრე საზოგადოებას საქ. თეატრალური საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების გამგემ მწერალმა როდიონ ქორქიამ. ამავე დროს ამხ. ქორქიამ დასძინა, რომ ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისათვის შემდგომი შემოქმედებითი ხელშეწყობის მიზნით საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე წელში მოეწყობა ამ თეატრის 6 მსახიობის მივლინება ერთი თვით, აქედან 4 მსახიობისა თბილისში, ხოლო 2 – მოსკოვში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## გამსვლელი სესია ყვარელში

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია ყვარელში, იმ სოფელში, სადაც დაიბადნენ დიდი ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი.

აღნიშნული სესია, მიძღვნილი იყო კოტე მარჯანიშვილის ხსოვნისადმი. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა, დრამატურგმა ს. მთვარაძემ.

სესიაზე წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. " კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა რუსეთსა და საქართველოში". მომხსენებელი დოც. ბ. ჟღენტი, 2. "კოტე მარჯანიშვილის მუშაობა მსახიობთან" – მომხსენებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, 3. "კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებისათვის" მომხსენებელი დოც. დ. ჯანელიძე, და 4. " კ. მარჯანიშვილის მშობლების ოჯახი" – მომხსენებელი მწერალი პლ. კეშელავა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა, თამარ ჭავჭავაძემ, გიორგი დავითაშვილმა, აკაკი ვანწალიანმა, რესპ. დამსახურებულმა არტისტმა ალ. გომელაურმა და საქ. თეატრალური საზოგადოების თანამშრომელმა ნიკო კეველიშვილმა.

სესიის მონაწილეებმა აგრეთვე შეხვედრები მოაწყეს ყვარელის რაიონის კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობის მუშა- მოსამსახურეებთან, მოსწავლეებთან და კულტურის სახლისა და სასოფლო კლუბების თვითმოქმედი წრეების წევრებთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რესპ. სახ. არტისტი თამარ ჭავჭავაძემ სოფ. შილდის საშუალო სკოლასთან არსებულ თვითმოქმედი დრამატული წრის წევრებს ესაუბრა თემაზე: " სასცენო მეტყველება სკოლის თვითმოქმედ დრამატულ წრეში". ამავე თემაზე ესაუბრა სოფ. ყვარელის პირველ საშუალო სკოლის თვითმოქმედ-დრამატულ წრის წევრებს რესპ. სახ. არტისტი გ. დავითაშვილი. რესპ. სახ. არტისტმა აკ. კვანტალიანმა ყვარელის კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედ წრეებში წაიკითხა მოხსენება - " მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის შემქმნელი და ხელისჩამდგმელი კოტე მარჯანიშვილი", ხოლო ამავე კულტურის სახლის თვითმოქმედ დრამატულ წრეში რესპ. დამს. არტისტმა ალ. გომელაურმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: " საესტრადო ნომრები თვითმოქმედ წრეებში".

დრამატურგმა ს. მთვარაძემ სოფ. შილდის კულტურის სახლის თვითმოქმედ წრეებში წაიკითხა მოხსენება თემაზე: "გამოჩენილი ქართველი ლოტბარი დათო ალნიაშვილი", ხოლო ყვარელის: .. საბჭოთა მეურნეობის მუშა- მოსამსახურეთა კულტურის სახლებში თემაზე: " ილია ჭ ჭავჭავაძე და ქართული თეატრი". ნ. კველიშვილმა.

სოფ. შილდის კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედი დრამატულ წრეში წაიკითხა მოხსენება " თვითმოქმედი დრამატული წრის ორგანიზაცია და მისი ამოცანები, ხოლო ყვარელის . საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კულტურის სახლის თვითმოქმედ დრამატულ წრეებში მანვე წაიკითხა თემაზე: " მცირე ფორმის დრამატურგია და თვითმოქმედი დრამატული წრის რეპერტუარის შერჩევა".

ყვარელის რაიონის მოსახლეობაში გამსვლელმა სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი ხორავას საღამო მოსკოვში

1956 წლის 30 იანვარს, რუსთაველის სახელობის თეატრში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი.

ამ საღამოზე სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე პოკროვსკიმ იუბილარის მისალმების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ გარდა საქართველოს მშრომელებისა დღევანდელი საიუბილეო საღამო დიდ ინტერესს იწვევს მთელს ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით კი მოსკოველ მაყურებლებში. ამის გამო სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი და აქტიორთა სახლის გამგეობა აკაკი ხორავას იწვევენ მოსკოვში შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად.

მოსკოვისათვის – აკაკი ხორავას საიუბილეო საღამოსათვის შერჩეული იქნა შემდეგი სპექტაკლები: "ოტელო", "ოიდიპოს მეფე" და "დიდი ხელმწიფე". ოტელოდან შერჩეული იქნა მესამე მოქმედება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამოღებული იქნა დასაწყისის ორი პატარა სცენა-დეზდემონასა და მისი მხლებლების სიმღერა და დეზდემონასა და კასიოს დიალოგი ემილიას თანდასწრებით. ე.ი. მოქმედება იწყებოდა ოტელოსა და იაგოს სცენაზე შემოსვლით, როდესაც იაგო წარმოთქვამს – "ააა, ეს მე არაფრად მომწონს" და ა.შ. ბოლომდე.

"ოიდიპოს მეფედან" შერჩეული იქნა ოიდიპოსის, კრეონისა და იოკასტეს სცენა – როდესაც მეფე ცილს წამებს კრეონს ტირეზიას მოსყიდვასა და ღალატში და უპირებს მას სიკვდილით დასჯას. მეფისა და კრეონის ცხარე დავას შემოუსწრებს იოკასტე, რომლის თანდასწრებით მეფე განდევნის კრეონს. ეს სცენა მთავრდებოდა ოიდიპოსის

მუდარით ყოლისადმი – " იოკასტე, მწყემსი, ჩქარა მწყემსი".

" დიდი ხელმწიფიდან" შერჩეული იქნა სპექტაკლის მეცხრე სურათი-სცენა- მონოლოგი შვილის კუბოსთან.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იდგა "ოტელოს" მესამე მოქმედება, ვინაიდან ამ სცენაში ხორავასთვის პარტნიორობა უნდა გაეწია ახალგაზრდა მსახიობ გიორგი გეგეჭკორს იაგოს როლის შესრულებით.

საღამოში მონაწილეობის მისაღებად დაკომპლექტდა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: აკაკი ხორავა / ოტელო, ოიდიპოს მეფე და ივანე მრისხანე/, თამარ ჭავჭავაძე /იოკასტე/, გიორგი საღარაძე / კრეონი/, ნელი მგალობლიშვილი / დეზდემონა/, ნათელა ფალიაშვილი / ემილია/, გიორგი გეგეჭკორი / იაგო/, კონცერტმეისტერი ეთერი ჭეიშვილი. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალა თეატრის რეჟისორის თანაშემწეს გივი ძნელაძეს.

8 საათზე აქტიორთა სახლის დარბაზი უკვე სავსე იყო ხალხით.

საღამოზე დამსწრე მაყურებელთა დიდ ნაწილს თეატრალური საზოგადოებრიობა შეადგენდა, აქ იყვნენ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები – სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. იაბლოჩკინა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მ. ცარიოვი, მ. იანშინი, ე. ტურჩანინოვა, ვ. ტაპარკოვი, მ. ჟაროვი რსფსრ სახალხო არტისტები ა. კონენი, ე. ზუევა, ვლადისლავსკი, სკობინა, ა. სტეპანოვა, ა. ხანოვი, კომისაროვი, რსფსრ დამსახურებული არტისტები დურასოვა, რომენ- სანინი, პილიავსკაია, კრიტიკოსი ნავიცკი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ტუნკელი, კომისარჟევსკი, რაევსკი და მრავალი სხვა.

საღამოს დაესწრო მოსკოვში მყოფი მრავალი ქართველი. მათ შორის ცნობილი მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი დავით გამრეკელი, დრამატურგი გიორგი მდივანი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობი ვალერიან კვაჭაძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ვახტანგ კუპრავა, თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი საქართველოს სსრ არტისტი დოდო ანთაძე, იუბილარის მეუღლე რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო მესხიშვილი, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ეთერი ჟუჟუშვილი / რომელიც ტურისტად იმყოფებოდა ბულგარეთსა და რუმინეთში/, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, რუსთაველის სახელობის თეატრის ყოფილი მსახიობი ნათელა იასალაშვილი, მახარაძის თეატრის მთავარი რეჟისორი ოთარი თაღაკვაძე / საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ შემოქმედებით მივლინებაში მყოფი/, თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი შინაგი ნაცვლიშვილი, ახალგაზრდა პოეტი ოთარ მამფორია და მოსკოვში მოსწავლე და მოსამსახურე ქართველები. საღამოზე დასასწრებლად მოვიდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის თვალსაჩინო მუშაკები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მედიცინის მუშაკთა აქტივის საკავშირო თათბირში მონაწილეობის მისაღებად კრემლში. მათ შორის არიან- პროფესორები სარაჯიშვილი, ფიფია, მამამთავრიშვილი, ნაზარიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლ. გომელაური / რესპუბლიკის სახალხო არტისტის ზაქარია გომელაურის ვაჟი/ და მრავალი სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– ფარდის წინ გამოვიდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობი და სტანისლავსკის სახელობის დრამის თეატრის მთავარი რეჟისორი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. იანშინი, რომელმაც საღამო გახსნა მოსკოვის აქტიორთა სახლის გამგეობის დავალებით. მოხსენებისათვის მან სიტყვა მისცა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ პაველ ალექსანდრეს-ძე მარკოვს.

მოგვყავს რამდენიმე აბზაცი მის საინტერესო მოხსენებიდან:
" ამ შესანიშნავი აქტიორის შემოქმედება იმსახურებს დაწვრილებით, სპეციალურ შესწავლას...."

" მაგრამ დღეს ჩვენ სხვაგვარად გვსურს ხორავას შესახებ ლაპარაკი; გვინდა ვისაუბროთ მასზე, როგორც ჭეშმარიტად ძვირფას მეგობარზე და თანამგზავრზე – მთელი საბჭოთა კავშირის თეატრალურ მოღვაწეობაში".

" მოსკოვში პირველი გამოჩენის მომენტიდან იგი მთელი გულით შემოიჭრა ჩვენს შეგნებაში და თეატრალური ცხოვრების ყველა ეტაპზე, ყოველ მშფოთვარე თეატრალურ კამათში, ყველა გამარჯვებასა თუ მარცხში, ხორავა, თვითონ თუ მისი აზრები მუდამ ჩვენთან იყო..."

" მან ჩვენს თეატრში მოიტანა თავისი თემა – გმირული, თავისუფლებისმოყვარე, მშვენიერი ადამიანის თემა" აქ, პროფესორმა მარკოვმა მოიგონა სანდრო ახმეტელის მხატვრული ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ რუსთაველის სახ. თეატრში ხორავას მიერ შექმნილი ანზორისა და კარლ მოორის სახეები, შემდეგ ივანე მრისხანე და ყველასათვის კარგად ცნობილი ოტელო, რომლის შესახებაც თქვა " ჩვენ სამართლიანად ვამაყობდით და ვამაყობთ ოსტუჟევით, ასევე სამართლიანად შეგვიძლიან ვიამაყოთ ხორავას ოტელოთი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

" ახლა მან ითამაშა ოიდიპოსი, და ჩვენ დიდი, განუზომელი მოუთმენლობით ველით, რომ იგი აქ, აქციორთა სახლში გვიჩვენებს ნაწყვეტებს თავისი ახალი როლიდან".

დასასრულ პროფესორ მარკოვმა თქვა " ყველა აქ დამსწრეთა სახელით მე მინდა ვუთხრა ხორავას თუ როგორ ნაზად, ღრმად და გულთბილად გვიყვარს ჩვენ იგი. როგორ ღრმად ვაფასებთ ჩვენ, მის მშვენიერ და უკომპრომისო გმირულ ხელოვნებას". ამ სიტყვებს მაყურებელი ტაშით შეხვდა.

პროფესორ მარკოვის სიტყვის შემდეგ დაიწყო " ოტელო"-ს მესამე მოქმედება. როლებს ასრულებდნენ ოტელო- ა. ხორავა, იაგო - გ.გეგეჭკორი, დეზდემონა - ნ. მგალობლიშვილი, ემილია - ნ. ფალიაშვილი, როიალის პარტიას ასრულებდა ე. ჭეიშვილი. გაფორმების მხრივ სცენა წარმოდგენილი იყო უპრალოდ, სადაც მხოლოდ მონაწილე მსახიობები იყვნენ კოსტიუმებსა და გრიმებში / მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრის მხატვარ-გრიმიორისა და გარდერობის მუშაკების მომსახურეობით /.

შესვენების შემდეგ დაიწყო სცენა სპექტაკლიდან " ოიდიპოს მეფე", რომელიც "ოტელოს" მსგავსად დეკორაციული გაფორმების გარეშე / აქაც სკამები იდგა/ იქნა წარმოდგენილი.

უნდა ითქვას, რომ სცენამ "ოიდიპოს მეფე"-დან ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის, რადგან იგი მათთვის უცნობი იყო, ხოლო ამბავი ამ სპექტაკლის მონაწილეთა და პირველ რიგში ხორავას მიერ ოსტატურად შესრულებისა კარგა ხანია მისწვდა დედაქალაქს. თუმცა ეს სცენა შემოკლებული სახით იქნა წარმოდგენილი :/, მან სავსებით გაამართლა მოლოდინი. აკ. ხორავას და თ. ჭავჭავაძის მიერ შესრულებულმა ამ სცენამ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ სცენის დამთავრების შემდეგ, შუალედის შესავსებად-ვიდრე ხორავა მოემზადებოდა ივანე მრისხანეს სცენური სახისათვის, იუბილარის პატივ-საცემად საღამოში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის სახელმწიფო ფილარმო-ნიის ახალგაზრდა მსახიობებმა - პრაღაში გამართული საერთაშორისო კონ-კურსის ლაურეატმა ანტონ შაროევმა / ვიოლინო/ და შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ლიუდმილა სოსინამ /როიალი/. მათ საუცხოოდ შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები.

" დიდი ხელმწიფის" წარმოდგენისას სცენაზე იყო შვილის კუბო, შალოყავი კათედრა და სანთლები. უნდა აღინიშნოს, რომ საღამოზე წარ-მოდგენილ სცენებს შორის ყველაზე ბრწყინვალედ იქნა შესრულებული სცენა კუბოსთან, რამაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. და დიდხანს აჯილ-დოვებდა მაყურებელი, სიყვარულის გამომხატველი გულთბილი ტაშით სცე-ნის უბადლო ოსტატს.

მაყურებელთა დარბაზიდან დაიძრნენ და სცენისაკენ გაემართნენ თეატრალური მოღვაწეები. მოსკოვის თეატრების ეს ნამდვილი თაიგული,-მართლაც ყვავილების თაიგულებით მიუახლოვდნენ ხორავას, რომელმაც უმალვე მოიძრო პარიკი წვერითურთ და გაემართა მათ შესახვედრად. მოსკოველი შემოქმედნი სიყვარულით ეხვეოდნენ ა. ხორავას და მთელი ამ ხნის განმავლობაში დარბაზში მყოფნი არ წყვეტდნენ ტაშს იმ დრო-მდე, ვიდრე საბჭოთა კავშირის სახალხ. არტისტმა ტოპარკოვმა არ დაი-წყო სიტყვის წარმოთქმა. მან მიმართა აკ. ხორავას- " ძვირფასო აკაკი ალექსის-ძევ!

ნება მიბოძეთ აქ დამსწრეთა სახელით, მოსკოვის ყველა მსახიობთა და დედაქალაქის მთელი თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მოგი-ლოცოთ ორი სახელოვანი თარიღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილაპარაკო თქვენს დამსახურებაზე, თქვენს მნიშვნელობაზე თეატრისა-
ვის, თქვენს ნიჭზე – ეს ნიშნავს გაიმეორო თქვენის მისამართით მრავალ-
ჯერ თქმული სიტყვები. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, მით უმეტეს, რომ დღე-
ვანდელ საღამოზე თქვენ ბრწყინვალედ დაადასტურეთ თქვენი ნიჭის მარა-
დიულობა, რომელიც წლითიწლობით კი არ იფერფლება, არამედ უფრო-დაუფრო
იზრდება.

ნება მოგვეცით მთელი გულით მადლობა გადაგიხადოთ დღეს ესთეტიკური
სიამოვნებისათვის და გისურვოთ დღეგრძელობა ჩვენი თეატრის საკეთილ-
ღდეოდ".

იუბილარს მიუახლოვდა და იგი გულში ჩაიკრა საბჭოთა სცენის სია-
მაყემ, უხუცესმა მსახიობმა ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა იაბლოჩ-
კინამ. აი როგორი სიტყვით მიმართა მან ხორავას.

"ძვირფასო აკაკი ალექსის-ძევ!
ითად გმადლობთ, იმისათვის, რომ ჩამობრძანდით ჩვენთან მოსკოვში, ჩვენს
ქტიორთა სახლში და ჩვენთან ერთად დღესასწაულობთ თქვენს ორმაგ- მშვე-
ნიერ იუბილეს და რომ მოგვეცით საშუალება დავმტკბარიყავით თქვენი შე-
სანიშნავი ხელოვნებით.

გისურვებთ კიდევ მრავალი მრავალ წელს ქმნიდეთ თქვენს გასაოცარ,
მშვენიერ, განუმეორებელ სახეებს და იყოთ საბჭოთა კავშირის სიამაყე და
იდება".

იუბილარმა მხურვალე მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას,
რუსეთის მოწინავე თეატრალურ ძალებსა და ყველა მეგობრებს, ასეთი დიდი
დაფასებისათვის. მან აღნიშნა, რომ ეს საღამო მისთვის და ასევე ყვე-
ლა ქართველი შემოქმედისათვის დარჩება ისტორიულ დღედ.

საღამოზე აკაკი ხორავამ მიიღო ორიგინალური საჩუქარი. მას მიარ-
თვეს ორი ბოთლი ღვინო, რომლებიც მისი საიუბილეო თარიღების შესატყვი-
სად ერთი 60, ხოლო მეორე 40 წლისა იყო.

# ნუნუ მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 12 ნოემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში მოაწყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნუნუ მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა, ნუნუ მაჭავარიანის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქ. სათეატრო მუზეუმის სწავლულმა მდივანმა ს. გერსამიამ. მომხსენებელმა ილაპარაკა ნუნუ მაჭავარიანის ნაყოფიერ სასცენო მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნუნუ მაჭავარიანი 40 წელზე მეტია სასცენო ხელოვნებას ემსახურება. ნუნუ მაჭავარიანი დაიბადა 1898 წლის 27 თებერვალს. მოსამსახურის ოჯახში. ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნის დროს მას აღმოაჩნდა სასცენო ნიჭი, ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა სასკოლო წარმოდგენებში და სალიტერატურო საღამოებში.

– ერთხელ – განაგრძობს ს. გერსამია,– ნუნუს, დღეობა გაუმართა მისმა მამამ, სადაც ნუნუმ საშინაო წარმოდგენაც გამართა. მოამზადა კ. ყიფიანის მიერ გადმოქართულებული ერთმოქმედებიანი ვოდევილი "დატრიალდა ჯარა", ამ ვოდევილში მთავარ როლს – ირინეს თვითონ ასრულებდა. იმავე საღამოზე მან დიდი აღტაცებით წაიკითხა ირ. ევდოშვილის ლექსი "უკანასკნელი დღე სიკვდილი ვასჯისა". წარმოდგენას მრავალი სტუმარი დაესწრო, აგრეთვე იყო თვით გამოჩენილი ქართველი პოეტი ირ. ევდოშვილი, ყველამ შეამჩნია, რომ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუს სამსახიობო უნარი ჰქონდა ირ. ევდოშვილმა შეაქო და გაამხნევა ნორჩი დეკლამატორი. ნუნუ მაჭავარიანი პირველად გამოვიდა სცენაზე თბილისის თეატრში. მან მონაწილეობა მიიღო ი. გედევანიშვილის "სინათლეში", ეს იყო 1914 წლის ზამთარში. მაშინ ის სწავლობდა დრამატული კურსების სტუდიაში, სადაც მას ასწავლიდნენ – პოეტ აკ. წერეთელი, პროფ. დუბროვსკი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და სხვები. ამ გამოსვლაში მას დიდი წარმატება ხვდა, როგორც კარგ მოცეკვავეს. სხვათა შორის ნუნუ მაჭავარიანი საუკეთესო მოცეკვავეც იყო. მაგ. 1915 წ. ნუნუ მაჭავარიანმა ქართულ კლუბში გამართულ ბალ-მასკარადში პირველი პრიზი მიიღო აღმოსავლური ცეკვების ოსტატურად შესრულებისათვის.

გადის ერთ, ნუნუ კიევის უნივერსიტეტში შედის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ ამთავრებს, რადგან მოუსწრო 1914 წლის მსოფლიო ომმა. 1917 წლის მიწურულში ნუნუ მონაწილეობას იღებს ყოფილ ნაძალადევის მუშათა თეატრში, სადაც ი. ეკალაძის პიესა,– "N21"–ში ასრულებს რევოლუციონერი მასწავლებელი ქალის განოს როლს.

1920-21 წ.წ. ნუნუ მაჭავარიანი მოღვაწეობს ქუთაისის თეატრში. სადაც იმ ხანად თეატრს ხელმძღვანელობდა რუსპ. სახალხო არტისტი შალვა დადიანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნუნუ მაჭავარიანი, როგორც პროფესიული მსახიობი განაგრძობს თავის სასცენო მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა თეატრებში. ნუნუ მაჭავარიანი ერთხანს დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ეწეოდა თავის სასცენო მოღვაწეობას.

1920 წლიდან დაწყებული ნუნუ მაჭავარიანს განხორციელებული აქვს 100-ზე მეტი სხვადასხვა ხასიათის როლი, მათ შორის ქეთევანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ფაიხოში ი. სუმბათაშვილ - იუჟინის "ღალატში", ცურფა აკ. წერეთლის "პატარა კახში", კნეინა ჩიცუნია და ფაცია შალვა დადიანის "გუშინდელნში", ქაბატო ავქ. ცაგარლის "ხანუმაში", ოთარაანთ ქვრივი ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივში", კრუჩინინა - ოსტროვსკის "უდანაშაულო დამნაშავეებში" და მრავალი სხვა.

ნუნუ მაჭავარიანი მოღვაწეობდა ჭიათურის, ბათუმის, ქუთაისის, სტალინირის, თელავის, ახალციხისა და სხვა თეატრებში.

ნუნუ მაჭავარიანს შესანიშნავი სასცენო მონაცემები აქვს. საშუალო ტანადი, ლამაზი და მიმზიდველი სახე, საამო სასმენ ტემბრიანი ხმა, კარგი დიქცია, მშვენიერი სასცენო მეტყველება. გარდა ამისა ნუნუს ემარჯვება როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური ცეკვები, მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკვრა, ხატვა და სხვა. ცხადია ყველაფერი ეს ხელს უწყობს მის აქტიორულ შემოქმედებას. ნუნუ მაჭავარიანი გარდა ნაყოფიერი აქტიორული შემოქმედებისა, ეწევა აგრეთვე რეჟისორულ მუშაობასაც. მაგ. მას დადგმული აქვს ოსტროვსკის - "უდანაშაულო დამნაშავენი", შექსპირის "ოტელო" და სხვ.

ნუნუ მაჭავარიანი გარდა დრამატული თეატრებისა სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდა საქ. ფილარმონიის შემოქმედებითი მუშაობაშიც.

ქართულ სცენაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერ-შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის 1954 წელს მთავრობამ ნუნუ მაჭავარიანს მიანიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება. იგი დააჯილდოვა მედლით "მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში", აგრეთვე დაჯილდოებულია მრავალი საპატიო სიგელით და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნუნუ მაჭავარიანს გულთბილად მიესალმნენ მის შემოქმედებითი ზეიმის დღეს — მსახიობი ალ. საჩალელი — კ. ხეთაგუროვის სახ. სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართული და ოსური კოლექტივების სახელით, რესპ. დამს. არტისტი გ. გეგეჭკორი რუსთაველის სახ. თეატრის კოლექტივის სახელით, რეჟ. გ. აბრამიშვილი — გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის სახელით, რეჟ. მიხ. იარალი და სხვ.

დასასრულ გაიმართა მხატვრული განყოფილება, რომელშიც ნუნუ მაჭავარიანის გარდა მონაწილეობა მიიღეს სტალინირის თეატრის მსახიობებმა — რესპ. დამს. არტ. ი. ცხვირაშვილმა, მსახიობებმა: მ. ბახტაძემ, ვ. სარიდიელმა, ვ. ქოქოევმა და ე. ბირაკაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ალექსანდრე კალანდარაშვილის შემოქმედებითი საღამო

1956 წლის 16 დეკემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში, მოაწყო გორის თეატრის მსახიობის ალექსანდრე კალანდარაშვილის 25 წლის მოღვაწეობის შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გორის მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. ი. მაკრახიძემ, შემდეგ მოხსენება თემაზე "ალექსანდრე კალანდარაშვილის შემოქმედება" წაიკითხა – მწერალმა როდიონ ქორქიამ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ა. კალანდარაშვილის შემოქმედებას და აღნიშნა, რომ ალექსანდრე კალანდარაშვილი იმ მსახიობთა პლეადას ეკუთვნის, რომელთა გონებრივი და სულიერი ფორმაცია და ჩამოყალიბება საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. ეს თაობა გაიზარდა საბჭოთა თეატრის სცენაზე, ამ თაობის შემოქმედებითი ბიოგრაფია მთლიანად საბჭოურია.

ამხ. რ. ქორქიას მოხსენების შემდეგ ალ. კალანდარაშვილს გულთბილად მიესალმნენ: გორის საქსოვი კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშა-მოსამსახურეთა სახელით – ინჟინერი არშაკუნი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით დ. რჩეიძე, ლ. მესხიშვილის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის და მაყურებელთა სახელით ალ. ქებაძიანი, ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სახელით ვ. სალარიძე, გორის

მაყურებელთა სახელით – ა. ფერაძე, გორიგე ერისთავის სახელობის გორის თეატრის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა სახელით – ვ. კახნიაშვილი. ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა სახელით – მ. საყვარელიძე.

საზეიმო ნაწილის დასასრულს ალ. კალანდარიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, წარმოება დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საღამოში.

მეორე განყოფილებაში ალ. კალანდარიშვილის მონაწილეობით დამსწრეთ აჩვენეს ოსტროვსკის " უდანაშაულო დამნაშავენი"-ს მე-II მოქ. კანდელაკის " მაია წყნეთელი"-დან მე-3 მოქ. და გ. ერისთავის " გაყრიდან" მე-3 მოქმედება. კალანდარიშვილის სახელზე მიღებული იყო საქართველოს თეატრებიდან და ნაცნობ-მეგობრებიდან ბევრი დეპეშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატალია ბურმისტროვას ბენეფისი

არც ისე დიდი ხანია, რაც ნიჭიერი მსახიობი ნატალია ბურმისტროვა თბილისის ა.ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე მოღვაწეობს, მაგრამ თბილისელმა მაყურებელმა ძალზე შეიყვარა იგი. ოსტატურად შესრულებულ სცენურ სახეებისათვის. მის მიერ განსახიერებული ყოველი ახალი როლი წინ გადადგმული ნაბიჯია საინტერესო შემოქმედებით გზაზე.

ნ. ბურმისტროვას შემოქმედებითი ბიოგრაფია ხუთი წლის ასაკიდან იწყება, როდესაც მშობლებთან – მიხეილ და სოფიო ბურმისტროვებთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო კურსკის შჩეპკინის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლში. პატარა დებიუტანტის სცენური სახე დიდხან დარჩა კურსკელ მაყურებელთა მეხსიერებაში.

ნ. ბურმისტროვას სპეციალური თეატრალური სასწავლებელი თვით თეატრი იყო,- იგი სხვადასხვა ქალაქის თეატრების სცენაზე მონაწილეობს მშობლებთან ერთად, ხოლო ჩვიდმეტი წლის ნ. ბურმისტროვა ღირსეულად იკავებს ადგილს პროფესიულ მსახიობთა რიგებში და უკვე ოცი წელია რაც თავის მაღალ შემოქმედებით ატკბობს საბჭოთა მაყურებელს.

მსახიობის შემოქმედების ფართო დიაპაზონი ნათლად გამოვლინდა თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე. ჯერ კიდევ 1948 წელს, როდესაც გრიბოედოვის სახელობის თეატრმა რომაშოვის პიესა "დიდი ძალა" წარმოადგინა, მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა ლუბაშას როლის შემსრულებელმა ნ. ბურმისტროვამ, რომელიც პირველად წარდგა თბილისელთა წინაშე. ამ დღიდან მოყოლებული მან მრავალი როლი შეასრულა რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტანია – არბუზოვის "ტანიაში".

ნიკოლაევა – ბარიანოვის " იმათ მხარეში", ლიზა კალიცინა – ტურგენევის " აზნაურთა ბუდეში", ლარისა – ოსტროვსკის " უმზითვოში", ლუიზა – შილერის " ვერაგობა და სიყვარულში"; სარი ვილერი – მიუფკეს– " ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება", პოემა – მინკოს "გვარს ნუ დავასახელებთ", ნორა – იბსენის ამავე სახელწოდების ნაწარმოებში და მრავალი სხვა.

მშვენიერ გარეგნულ მონაცემებთან ერთად ნიჭიერ მსახიობს მაღალი პროფესიული ოსტატობა გააჩნია. მის მიერ შესრულებული ყოველი ახალი როლი, მისი ყოველი გამოსვლა სცენაზე, გამსჭვალულია სიახლით, როლისადმი ღრმა პროფესიული მიდგომით, საინტერესო გააზრებით, დიდი ტემპერამენტითა და სითბოთი. ამიტომაა, რომ მაყურებლებს, ხალხს ასე უყვარს ეს ნიჭიერი შემოქმედი. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მშრომელებმა იგი ერთხმად აირჩიეს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. ქართული თეატრის ასი წლისთავზე იგი დაჯილდოებული იქნა საპატიო ნიშნის ორდენით, ხოლო გრიბოედოვის სახელობის თეატრის ოცი წლისთავზე მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1956 წლის 16 დეკემბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივმა თბილისელ მაყურებელთან ერთად ზეიმით აღნიშნა ნ. ბურმისტროვას საბენეფისო საღამო. საღამოზე წარმოდგენილ იქნა ა. კასონას კომედია " ხეები კვდებიან ზეზეურად", რომელშიც მთავარ როლს –მარტა კინტანას ნ. ბურმისტროვა ასრულებს.

წარმოდგენის მესამე მოქმედების დაწყების წინ ბენეფისიანტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს – გრიბოედოვის სახელობის თეატრის სახელით საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. ბელეცკაიამ, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და რუსთაველის სახელობის თეატრის სახელით რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ბაქრაძემ, ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელით სოლისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. ეპიტაშვილმა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივის სახელით ინჟინერ- კონსტრუქტორმა ლ. სამარჩიანმა.

მსახიობს მიართვეს მრავალი ძვირფასი საჩუქარი. ბენეფისიანტმა მადლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივს და დამსწრე საზოგადოებას.

ნ. ბურმისტროვას მიერ განვლილი სცენური გზა და მისი ოსტატობა საწინდარია იმისა, რომ იგი შემდეგშიც კვლავ ახალ-ახალი გამარჯვებებით გაახარებს თავის საყვარელ მაყურებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

## მიხეილ გ ე ლ ო ვ ა ნ ი

1956 წლის 21 დეკემბერს მოსკოვში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ გელოვანი. ქართულმა თეატრალურმა და კინოხელოვნებამ მიხეილ გელოვანის სახით დაკარგა სცენის ნიჭიერი ოსტატი და შესანიშნავი მოქალაქე.

მიხეილ გელოვანი დაიბადა 1892 წლის 25 სექტემბერს ლეჩხუმში სოფ. ლესურაში. მამა მისი ძველი გაღატაკებული თავადი იყო. მიუხედავად ამისა მასთან თავს იყრიდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე და პატრიოტულად განწყობილი ადამიანები. თავისი ცოდნითა და განათლებით მიხეილის მამა დიდად განსხვავდებოდა ბევრი ლეჩხუმელი უსაქმური თავადისაგან.

მიხეილ გელოვანის ოჯახი ჩვენ ერთგვარად მოგვაგონებს მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს, სადაც განუწყვეტლივ იმართებოდა ქეიფი, დროს ტარება და კამათი საქართველოს ბედუკუღმართობაზე. მამის სახლში გამართულ კამათსა და მსჯელობას საქართველოს წარსულზე და მის ისტორიაზე უზრალოდ არ ჩაუვლია; ბავშვი გონებრივად ვითარდებოდა და ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნას იძენდა, და იქნებ ვინ იცის ის თავადი კნიაზები და ტარიელ მკლავაძეები, რომელიც მან ჭაბუკობისას ასე ბრწყინვალედ განასახიერა, შეიძლება ბავშვობისას მამის სახლში ნანახი გმირებია.

სცენა და სასცენო ხელოვნება მას ბავშვობიდანვე იტაცებდა, და ეს გატაცება არ ყოფილა უმიზნო გატაცება, ის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოწინავე მსახიობთა რიგებში იდგა და წინ წევდა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს.

1912 წელს მიხეილმა პეტერბურგის გიმნაზია დაამთავრა, იმავე წელს მას მამა გარდაეცვალა და მთელი ოჯახის მოვლა-პატრონობა მას დაეკისრა, ამისათვის საჭირო იყო სამსახურში ჩადგომა, და ის მიემგზავრება ბაქოში, სადაც მას ბიძა- მამის ძმა ეგულება,- ბაქოში ჭაბუკი დიდხანს ვერ მოეწყო სამსახურში, მაგრამ მისთვის ამ მოგზაურობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია,- მან შემთხვევით მიაგნო თავის პროფესიას. სწორედ ამ დროს ბაქოში თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა ნიკო გვარაძე, რომელიც ხშირად მართავდა წარმოდგენებს და აი, ნ. გვარამაძემ ერთ-ერთ პიესაში /"ნიშანი ყოფაქცევაში"/ მისცა მასწავლებლის პატარა როლი, რომელიც მან შესანიშნავად განახორციელა. ამის შემდეგ მიშა გელოვანს თეატრის კარი ფართოდ გაეხსნა და ცნობილი მსახიობი გახდა.

1913-14 წლის სეზონში მიხეილ გელოვანი მუშაობს ბათუმის მოგზაურ დასში, რომელსაც შალვა დადიანი ხელმძღვანელობს, ამ დასში ის დავაჟკაცდა და გახდა ნამდვილი პროფესიული მსახიობი. შემდეგ წლებში მშობლიური თეატრის სცენაზე მან შექმნა ბრწყინვალე სახეები. შ. დადიანის " გეგეჭკორში", გეგეჭკორი, ნ. შიუკაშვილის " ხელეში". ბარათაშვილი შ. დადიანის " გუშინდელში" - თავადი კოწია, ც. რამიშვილის " სტუმარ- მასპინძლობაში" ნიკიფორე აცაკურა და ოსტროვსკის " ტყეში" არკაშკა და სხვა.

მიხეილ გელოვანს აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კინოხელოვნების განვითარების საქმეში, როგორც მსახიობსა და კინო რეჟისორს. 1929 წელს მან დადგა კინო " ახალგაზრდობა იმარჯვებს" და 1930 წელს " ნამდვილი კავკასიელი". ორივე ამ კინოსურათმა ქართულ პრესაში მაღალი შეფასება მიიღო.

მოსკოვის საზოგადოებამ განსვენებულს დიდი პატივი სცეს - მისი ცხედარი ესვენა კინოაქტიორთა დრამატულ თეატრში, კუბო მორთული იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აბრეშუმის წითელი ლენტით. თბილისიდან მიხეილ გელოვანის დასაფლავებაზე მონაწილეობის მისაღებად თეატრალურმა საზოგადოებამ მიავლინა შალვა დადიანი, აკაკი ვასაძე და ვერიკო ანჯაფარიძე. აკაკი ვასაძემ და ვერიკო ანჯაფარიძემ თანამემამულეს უთხრეს გრძნობით აღსავსე სიტყვები.

ის დასაფლავებულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანეტა ქიქოძე

ქართული სცენის თვალსაჩინო მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი მსახიობი ანეტა ქიქოძე, რომლის ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მუშაობამ გარკვეული კვალი დასტოვა თეატრის აქტიორული ხელოვნების ისტორიაში.

ანეტა ქიქოძე დაიბადა მახარაძის რაიონში / ყოფილ ოზურგეთში/ სოფელ ბახვში მასწავლებელ გერასიმე ქიქოძის ოჯახში. მშობლებმა ანეტა ჯერ ოზურგეთის პირველდაწყებით სკოლაში მიაბარეს, შემდეგ გადაიყვანეს ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში. ანეტას პატარაობიდანვე იტაცებდა თეატრი, ამიტომ მისი ოცნება იყო მსახიობი გამოსულიყო.

ანეტას მამა სულ მალე თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ, ამ დღიდან ანეტას საშუალება მიეცა გაცნობოდა ქართული თეატრის მუშაობას, რამაც კიდევ უფრო გაუძლიერა სურვილი თეატრში მუშაობის დაწყებისა. მართალია მშობლები აღუდგნენ ანეტას სურვილს, მაგრამ მან მაინც მოახერხა მუშაობა დაეწყო თბილისის სახალხო სახლში. / ამჟამად მოთავსებულია მარჯანიშვილის თეატრი/. ანეტამ სულ მალე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, როგორც კარგი მომავლის მქონე მსახიობმა, ამ დროისათვის ქართულ პროფესიულ თეატრში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მსახიობი და თეატრალური მოღვაწე ვალერიან გუნია, რომელსაც შეუმჩნეველი არ დარჩა დამწყები მსახიობის წარმატება და ანეტა მოიწვია თეატრში სამუშაოდ, სადაც უკანასკნელმა არა ერთი საინტერესო სახე შექმნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შემდეგ ანეტა ქიქოძე, როგორც უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მსახიობი წარმატებით მუშაობს. ქუთაისის, ბათუმის და რუსთაველის სახელობის თეატრებში.

უკანასკნელ დროს ანეტა ქიქოძე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ბათუმის და ქუთაისის თეატრებში. ამ დასმა წარმატებით მოაწყო საგასტროლო მოგზაურობა მოსკოვში, ხარკოვში და სხვა.

ანეტა ქიქოძეს არა ერთი დაუვიწყარი სახე შეუქმნია,, რომელიც მტკიცე შევიდა ქართული აქტიორული ხელოვნების ისტორიაში. განსაკუთრებით დაუვიწყარია მის მიერ შექმნილი სახეები: ზეინაბი "ლალატი", რიტუნია "გუშინდელნი", ლილია "ვარე ხვალ უფალო", ქრისტინე "ქრისტინე" და სხვ.

ანეტა ქიქოძე თავის მეუღლე პროფესორ კონსტანტინე ანდრონიკაშვილთან ერთად წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადო მუშაობას, ქართული თეატრის განვითარებისა და აღორძინების საქმეში.

ანეტა ქიქოძის სახით ქართულმა თეატრმა დაკარგა ერთ-ერთი ნიჭიერი მუშაკი, რომლის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობას ქართულ თეატრის ისტორია არასოდეს დაივიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაჰარუხ ჩარკვიანი

79

მოულოდნელად გარდაიცვალა მწერალი შაჰარუხ /შალვა/ ჩარკვიანი, რომელიც 40 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ლიტერატურის ზრდისა და განვითარების საქმეს. მძიმე სიღარიბეში დაამთავრა მან ქუთაისის ქართული გიმნაზია და შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში. მოწაფეობისა და სტუდენტობის პერიოდიდან ის თანამშრომლობს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, ბეჭდავს ლექსებსა და წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე. უკანასკნელ ხანებში მან ჟურნალ "მნათობში" გამოაქვეყნა ლექსები, რომელიც აღსავსეა პოეტური მაღალი გრძნობებით. მას ღრმად ახარებდა ჩვენი ქვეყნის წარმატებები ლიტერატურისა და კულტურის ყველა ფრონტზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის მუშაობდა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში და ხელმძღვანელობდა საზოგადოების საუწყებო ორგანო " მოამბის" ბეჭდვისა და გამოცემის საქმეს.

შ. ჩარკვიანი იყო უწყინარი და თავმდაბალი ადამიანი. ქართული ლიტერატურის ისტორია მას არასოდეს არ დაივიწყებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სპექტაკლის მუსიკალური და სცენური /დეკორაციული/ გაფორმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 1

2. ქუთაისის თეატრის გასტროლები თბილისში . . . . . 12

3. ნახევარი სეზონის რეპერტუარი . . . . . . . . . . 18

4. მახარაძის თეატრში . . . . . . . . . . . . . . 27

5. თეატრალური საზოგადოების პლენუმი . . . . . . . . 34

6. საქ. თეატრალური საზოგადოების საქმიანობა 1956 წლის მე-4 კვარტალში . . . . . . . . . . . . 48

7. აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა....... 52

8. გამსვლელი სესია ყვარელში . . . . . . . . . . . . 56

9. აკაკი ხორავას საღამო მოსკოვში . . . . . . . . . . .58

10. ნუნუ მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო . . . . . 65

11. ალექსანდრე კალანდარაშვილის შემოქმედებითი საღამო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 69

12. ნატალია ბურმისტროვას ბენეფისი . . . . . . . . . . 71

## ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

13. მიხეილ გელოვანი . . . . . . . . . . . . . . . 74

14. ანეტა ქიქოძე . . . . . . . . . . . . . . . . . 77

15. შაჰარუხ ჩარკვიანი . . . . . . . . . . . . . . 79